# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 15 მარტი, 2012 წელი.

№50 (6927)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## დავით თევზაძე: „სამშობლოსათვის ომში წასული ჯარისკაცი სხვანაირ დახვედრას იმსახურებს“



3

## სულ მალე ერთ მუშტად შეკრული საქართველოს მოსახლეობა აიხდენს „ქართულ ოცნებას“

### კახა კალაძის მიმართვა



ჩემო თანამემამულენო, ბოლო ხანს მასობრივი ხასიათი მიიღო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა ყოვლად აბსურდულმა დაკითხვებმა, კანონს ამოფარებულ ჩინოვნიკთა გარკვეული ნაწილი ზეწოლას ახდენს მოქალაქეებზე და ყოველივე ეს ხდება პიროვნების პატივისა და ღირსების ამყრელი მოქმედებით, მათ შორის, ყოვლად დამამცირებელი — ადამიანთა გაშიშვლებითაც კი.

ისტერიაში ჩავარდნილი პრეზიდენტი უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. ის ცდილობს თავისი რეჟიმის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის „ქართულ ოცნებას“ დააშვებინოს შეცდომა და მარტივ პროვოკაციებზე წამოაგოს. მაგრამ ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, თუ რა უკუშედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას და გათვლილი ნაბიჯებით მივიწევთ წინ. ხელისუფლების ვერანაირი ხაფანგი ვერ გვაიძულებს ქართველ ხალხს, რომ არჩეული სამართლებრივი გზიდან გადავუხვიოთ.

ჩვენ აუცილებლად დავიცავთ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩვენს აქტივისტებს და არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ მათ მარტო რეჟიმთან ბრძოლაში — სულ მალე საზოგადოება ამას თვალნათლივ დაინახავს.

აქვე მინდა ვუთხრა ყველა ჩინოვნიკს, რომელიც დღეს სადამსჯელო ოპერაციებში მონაწილეობს, რომ ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა უსაზღვრო არაა, მოვა დრო, როდესაც აბსოლუტურად ყველა, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი ხალხის წინაშე და ვისაც კანონი აქვს დარღვეული, მოხვდება განსასჯელის სკამზე. ქართველი ხალხის მუდმივ ტერორსა და ძალადობაში ყოფნას არ შევარჩენთ მოქმედ რეჟიმს. იმავდროულად ამ სამარცხვინო ფაქტების საქმის არსი გავაცანით ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასა და დიპლომატიურ კორპუსს.

მეგობრებო, ქალაქებში, რაიონებში, დაბებსა თუ სოფლებში ჩვენი რიგები არა თუ ყოველდღიურად, არამედ ყოველსაათობრივად იზრდება და სულ მალე ერთ მუშტად შეკრული საქართველოს მოსახლეობა აიხდენს „ქართულ ოცნებას“.

კახა კალაძე

## ღმერთმა ნუ ქნას, მოთმინების ძაფი გაწყდეს!



აქა ამბავი წყლისა და წყალწაღებულებისა!

6

## ჯვარული „მუზეუმი“, ანუ რატომ და ვისთვის ინახავენ იქაურები საგანგებოდ ვარდების რევოლუციამდელ „ექსპონატს?“

4



## საინგილო – „სამაგალითო მეგობრობის“ სამწუხარო შტრიხები



5

## არჩილ ხომასურიძე: მიფეპრისტონი რეპროდუქტოლოგიის ახალი ეტაპია

7

როგორ მშობიარობენ ქალები სწრაფად და უმტკივნეულოდ და რატომ არ მოსწონს ეს მეთოდი ზოგიერთ ქართველ გინეკოლოგს?



მილოცვა

# თუკი ისტორიული სამართლიანობა იზეიმებს...




**მოსკოვი. კრემლი.**

**მის აღმატებულებას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ვლადიმერ ვლადიმერის ძეს პუტინს.**

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო! მიიღეთ ჩვენი მილოცვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მაღალ თანამდებობაზე თქვენს არჩევასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, თქვენი დიდი გამოცდილება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და კეთილდღეობის განმტკიცებას თქვენს სახელმწიფოში. რუსები და ქართველები — ერთმორწმუნე ერებია, რაც გვაახლოვებს, მაგრამ ვერც საქართველო და ვერც ჩვენი ეკლესია ვერასდროს შეეგუება ჩვენი სამშობლოს წიაღიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოწყვეტას. თუმცა, ვფიქრობთ, ყველა სირთულის მიუხედავად, რუსეთსა და საქართველოს შორის სავსებით შესაძლებელია კეთილი ურთიერთობების აღდგენა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი იზეიმებს ისტორიული სამართლიანობა. დარწმუნებულნი ვართ, რომ, ადრე თუ გვიან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღუდგება, მაგრამ კარგი იქნება, რომ ეს თქვენი მმართველობის პერიოდში მოხდეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, თქვენს ქვეყანას კი — შემდგომ აყვავებას.

პატივისცემით,

**ილია II,**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

## სერგეი ლავროვი: მოსკოვი არავის არწმუნებს, აღიარონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი

**„მოსკოვი კუდში არავის დასდევს და არ არწმუნებს, აღიარონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა დუმაში გამოსვლისას.**

„ჩვენ არანაირ მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ. ამით დაკავებული არიან ჩვენი დამოუკიდებელი მოკავშირეები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“, “ განაცხადა ლავროვმა.

იმ ქვეყნებზე საუბრისას, რომლებმაც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი აღიარეს, ლავროვმა აღნიშნა: „ჩვენ შესაბამისი მოლაპარაკებების მიღწევის შესახებ მაშინ ვიგებდით, როდესაც უკვე ხელმოწერილი იყო“ და აქვე აღნიშნა: „ბუნებრივია, რომ ჩვენი მეგობრების მეგობრებს მხარს დავუჭერთ პოლიტიკურ გეგმებშიც“.

„ჩვენი ამ პროცესებს მხარს ვუჭერთ, მაგრამ არ შეგვიძლია სუვერენული სახელმწიფოების ნაცვლად რაიმე გადაწყვეტილებების მიღება“, — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

ინფორმაცია

## კონტროლის პალატა ახსნა-განმარტებებს ბათუმსა და ოზურგეთში იბარებს

**კონტროლის** პალატა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ოპოზიციური პარტიების რეგიონული ოფისების წარმომადგენლებისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევას ბათუმსა და ოზურგეთში განაგრძობს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ბათუმიდან იუწყება, კონტროლის პალატაში, რომელიც ბათუმის იუსტიციის სახლშია განთავსებული, დილიდან „თავისუფალი დემოკრატების“ ბათუმის ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებიან.

ახსნა-განმარტების ჩამორთმევის პროცესს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატიც ესწრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი დემოკრატების“ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კობა ჩხეიძემ განუცხადა, კონტროლის პალატაში შესული პარტიის ერთ-ერთი წევრის გვარი არასწორად იყო მითითებული, რის გამოც იგი გამოუშვეს და უწყებაში გვარის გასწორების შემდეგ დაიბარებენ.

— ამჟამად ერთი ადამიანი იკითხება, — აღნიშნა კობა ჩხეიძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, კონტროლის პალატის უწყება ორგანიზაციის „ემსახურე საქართველოს“ ერთ-ერთმა წევრმაც მიიღო.

10 ადამიანი დაიბარეს დაკითხვისთვის ოზურგეთშიც. კონტროლის პალატის უწყებების დარიგება გურიის რეგიონში გრძელდება.

გურიის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში, სადაც დაკითხვა მიმდინარეობს, ჟურნალისტებს არ უშვებენ.

## ვერა ქობალია მიიჩნევს, რომ ქართულ ავიაციაში პრობლემები არ არსებობს



**საქართველოს** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ავიაკომპანიებში ბოლო დროს შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა.

ეკონომიკის მინისტრი მიიჩნევს, რომ ქართულ ავიაციაში პრობლემები არ არსებობს.

რაც შეეხება ცოტა ხნის წინათ ავიაკომპანია „აირზენას“ განცხადებას, რომ კომპანიას ფინანსური პრობლემები აქვს, რაც რამდენიმე რეისზე დატვირთვების შემცირებით არის გამოწვეული, ვერა ქობალია მიიჩნევს, რომ „აირზენაში“ არსებული პრობლემები არასწორ მენეჯმენტს უკავშირდება.

— ჩვენ ვცდილობთ, „აირზენას“ მაქსიმალურად დავეხმაროთ. შევთავაზეთ, შეესრულებინა შიდა რეისები სახელმწიფო სუბსიდირებით, მათ შორის თბილისი-მესტიის მიმართულებით. ეს შეთავაზება მათ დიდი ხნის განმავლობაში უპასუხოდ დატოვეს. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში არის მენეჯმენტის პრობლემა, იმედი მაქვს, საკითხს თავად გადაწყვეტენ, — აღნიშნა მინისტრმა.

კომპანია „სკაი ჯორჯიაზე“ კი, ვერა ქობალია, აცხადებს, რომ არ დაუშვებს გაუმართავი თვითმფრინავებით თუნდაც სატვირთო გადაზიდვების შესრულებას. ეს კომპანია ეკონომიკის სამინისტროს ნატოს პროექტის, კერძოდ, ავღანეთში ტვირთების გადაზიდვის დაბლოკვაში ადანაშაულებს.

— ავიამიმართულების უსაფრთხოების კუთხით არასდროს დავიხევ უკან. ჩემთვის ადამიანების უსაფრთხოება პირველ ადგილზეა. თუ ტექნიკურად თვითმფრინავი არ არის გამართული და ვერ გაიარა აუდიტი, ეს ნიშნავს, რომ ფრენის საშუალებას არ მივცემთ, — განაცხადა მინისტრმა და აღნიშნა, რომ „სკაი ჯორჯიას“ 6-თვიანი ვადა ჰქონდა საქართველოში ახალი თვითმფრინავის შემოსაყვანად.

## „ლეიბორისტები“ პატარკაციშვილის ოჯახს ბიზნესმენის გარდაცვალების გამოძიების მოთხოვნისკენ მოუწოდებენ

**ლეიბორისტები** ბადრი პატარაკაციშვილის ოჯახს მოუწოდებენ, ბიზნესმენის გარდაცვალების გამოსაძიებლად გაეროში სპეციალური კომისიის შექმნა მოითხოვონ.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტული პარტიის“ აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, ბადრი პატარკაციშვილი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო მიხეილ სააკაშვილს დაუპირისპირდა, რამაც ბიზნესმენის სიცოცხლე იმსხვერპლა. ჯიბლაძის თქმით, ხელისუფლება დამხობისგან ბიძინა ივანიშვილმა გადარჩინა.

— საყოველთაოდ ცნობილია, სააკაშვილის სპონსორ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის სიძულვილი აწ გარდაცვლილ, მეცენატ ბადრი პატარკაციშვილისადმი. ასევე, არავისგან დამალული არ არის ის ფაქტი, რომ როდესაც ეს უკანასკნელი საკუთარი რესურსებით დაუპირისპირდა სააკაშვილის რეჟიმს, სწორედ ივანიშვილმა იხსნა ბანდიტური ხელისუფლება დამხობისაგან. დიქტატორმა სააკაშვილმა პოლიციის აღლუმზე ოფიციალური მადლობა გადაუხადა შს სამინსიტროს ლონდონში ჩატარებული სპეცოპერაციისთვის, ხოლო ამ ოპერაციის ხელმძღვანელს, კრიმინალ ირაკლი კოდუას სახელმწიფო ჯილდო გადასცა. ივანიშვილმა კი კოდუას გარჯა 8 მილიონ ლარიანი კრედიტით აუნაზღაურა. მივმართავთ პატარკაციშვილის ოჯახს, დასვას ამ ორგანიზებული მკვლელობის გამოსაძიებლად გაეროში სპეცკომისიის შექმნის საკითხი, როგორც ეს ხდება სხვა გახმაურებული შემთხვევების დროს, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.

## ცხინვალში თვითმფრინავების წარმოებას გეგმავენ

**ე.წ.** სამხრეთ ოსეთში მსუბუქძრავიანი თვითმფრინავების წარმოებას გეგმავენ. ამის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება.

თვითმფრინავების გამოშვებას ის შეთანხმება ითვალისწინებს, რომელიც ეკონომიკური განვითარების დე ფაქტო მინისტრმა ალექსეი ხაბალოვმა და რუსული კომპანიის „ტვოი ავიაცენტრის“ დირექტორმა ვიქტორ ბოიჩენკომ გააფორმეს. შეთანხმების თანახმად, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მსუბუქძრავიანი თვითმფრინავების ასაშენებლად საწარმო უნდა შეიქმნას.

ინტერპრესნიუსი

ვისთვის და რატომ?

# „სისხლის სამართლის კოდექსი“ მკაცრდება

**საქართველოში რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობით ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა მკაცრდება. ამ გადაწყვეტილების მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ეჭვობს, რომ ეს, შესაძლოა, ბათუმში აზიზის მეჩეთის მშენებლობას უკავშირდებოდეს და ხელისუფლება პრევენციულ მექანიზმს მიმართავს, რათა ამ გადაწყვეტილების შესრულება უპრობლემოდ მოხდეს.**

**კანონპროექტი, რომელიც ცვლილებების შეტანას „სისხლის სამართლის კოდექსში“ ითვალისწინებს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ არის მომზადებული.**

ცვლილებების თანახმად, დანაშაულის ჩადენისას რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება იქნება ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ასეთი სასჯელი მაქსიმალური ზომით დაისჯება.

საქართველოს კანონმდებლობით, ყველა დანაშაულისთვის განსაზღვრულია სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა. გადაწყვეტილებას კი სასამართლო ჩადენილი დანაშაულის გარემოებებიდან გამომდინარე იღებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონპროექტის საკომიტეტო განხილვების პროცედურა უკვე დაიწყო, მისი ავტორების მხრიდან ჯერჯერობით არ დასახელებულა მიზეზი, თუ რატომ უნდა მოხდეს კანონის გამკაცრება და თანაც მაინცდამაინც ამ მიმართულებით. მით უმეტეს, რომ აღნიშნული დანაშაული დღეს მოქმედი კანონმდებლობით ისევე ისჯება, როგორც სხვა დანაშაულებები.

სწორედ ამიტომ „ქართული დასის“ ლიდერს, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრს, ჯონდი ბაღათურიას აინტერესებს, რატომ დაემთხვა დროში რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობისთვის კანონის გამკაცრება, ბათუმსა და ახალციხეში მეჩეთების მშენებლობას.

„კანონპროექტის შეფასებამდე უნდა თქვას, რომ ადამიანის დევნა რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნით სამარცხვინო საქციელია და მსგავს ქმედებას, არც ერთი თავმოყვარე სახელმწიფო არ ჩაიდენს. ამას ვამბობ იმიტომ, რომ ჩენი კოლეგების ერთი ნაწილი ცილისმწამებლებად ჩამოყალიბდა“, — აღნიშნავს ბაღათურია და დასძენს, რომ მისი მოსაზრება არ უნდა იყოს აღქმული ისე, თითქოს ის შეუმწყნარებლობის მომხრეა.

ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ საქართველო მაღალკულტურული ერია და არც ახლა და არც წარსულში, არც ერთი ერის და რელიგიის მიმართ შეუმწყნარებლობა არ გამოუვლენია. დეპუტატი ამ მხრივ მხოლოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას იხსენებს, სადაც მან ზანგებზე ისაუბრა.

„ერთადერთი, რაც მახსენდება წმინდა რასისტული გამოხტომისა, ეს არის სააკაშვილის გამოხტომა, როცა შავკანიანები ისეთი დაბალი დონის რასად მოიხსენია, რომელთანაც ცუდად მოქცევა შეიძლება და ამაზე, ბოდიშიც არ მოუხდია“, — აცხადებს ბაღათურია.

ამიტომაც იგი დღეს საკითხის აქტუალიზაციას და დანაშაულზე სასჯელის გამკაცრებას, „ბათუმსა და ახალციხეში მეჩეთების აშენების ხელისუფლების დაუძლეველ წყურვილს“ უკავშირებს.

მისი შეფასებით, სასჯელის გამკაცრება დანაშაულისთვის, რომლის მოტივი შეიძლება რელიგიური თუ ეთნიკური სხვა შეუმწყნარებლობა იყოს, ხელისუფლების მხრიდან ერთგვარ მუქარად აღიქმება.

ბაღათურია დასძენს, რომ რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნით შეუწყნარებლობა, რა თქმა უნდა, მიუღებელია, თუმცა, ამის საკანონმდებლო დონეზე აყვანა მაშინ, როცა ქვეყანაში თურქული ოკუპაციის სიმბოლოს, აზიზის მეჩეთის მშენებლობა იგეგმება, კატეგორიულად მიუღებელია.

ხელისუფლება აცხადებს, რომ მათთვის ბაღათურიას ეს მოსაზრება გაუგებარია და მხოლოდ




„პოლიტიკურ სპეკულაციად“ აფასებენ, მაგრამ ბაღათურიას ამ მოსაზრებას ისიც ამძაფრებს, რომ კანონპროექტში თავდაპირველად საუბარი იყო მხოლოდ „რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობით“ ჩადენილ დანაშაულზე. დისკრიმინაციის საფუძველს კი, ცხადია, მხოლოდ ეს არ ქმნის და კანონპროექტში ელემენტარულად სქესობრივი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის და პოლიტიკური ნიშნით შეუწყნარებლობაც კი იყო გამოტოვებული და ამაზე ხელისუფლებამ მას შემდეგ დაიწყო ფიქრი, რაც მედიის მხრიდან გაჩნდა კითხვა, თუ რატომ იყო გამოტოვებული.

**თეონა ხარაბაძე**

**Presage.tv**

ჭეშმარიტი მამულიშვილი

# ავთანდილივით აღნაგი, მწიგნობარი და მოფიქრალი...



**გარდაიცვალა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ბატონი ჯანრი კაშია, ავთანდილივით აღნაგი, ზრდილი, რაინდული ქცევის მამაკაცი, მწიგნობარი და მოფიქრალი. უზომოდ შეყვარებული საქართველოზე, მის კულტურაზე, მის გმირულ ისტორიაზე. მისი ოცნება სამშობლოს ნათელი მომავალი იყო. მისი განცდები და წუხილი საქართველოს ბედზე ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, საბჭოთა კავშირის პერიოდში, მისი დისიდენტური ცხოვრებით აისახა.**

თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც იგი ლექციებს კითხულობდა, დაიწყეს მისი შევიწროება: ჯერ ლექციები შეუმცირეს, მერე კი აიძულეს, დაეტოვებინა აკადემია, რადგან მავანთ არ მოსწონდათ ისეთი ლექციები, რომლებიც არსებული, დაწესებული დოგმებით არ იკითხებოდა. მას აღარც იმის უფლებას აძლევდნენ, გამოექვეყნებინა თავისი შრომები და სტატიები, რომლებიც იმდროინდელ საქართველოს ასახავდა. ამიტომ იძულებული გახდა, წასულიყო ემიგრაციაში, სადაც მან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. მისი წერილები ამხელდნენ საბჭოურ რეჟიმს და საქართველოს მდგომარეობას. მან დააარსა საფრანგეთში – პარიზში ქართულ-ევროპული ინსტიტუტი და ამავე დროს დაამკვიდრა ილია ჭავჭავაძის პრემია საუკეთესო თარგმანისათვის და ისტორიულ-ფილოსოფიური ნარკვევისათვის. აღადგინა და გამოუშვა საფრანგეთში არსებული ქართული ჟურნალი „ივერია“, რომლის ბოლო ნომრები თბილისში დაიბეჭდა. ვაჟას პოეზიას მიუძღვნა ვეება ნაშრომი და უამრავი წერილი გამოაქვეყნა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი დაბრუნდა საქართველოში და ბევრი საინტერესო საქმე წამოიწყო, საზოგადოებას ახსოვს ბატონ ჯანრი კაშიას მისეული გადაცემები ტელევიზიით, სადაც იწვევდა ცნობილ პიროვნებებს, მეცნიერებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს, მხატვრებს, მუსიკოსებს და იმართებოდა ანალიტიკური, ღრმა საუბრები, ამავე დროს იგი საინტერესო წერილებსაც აქვეყნებდა. ბატონი ჯანრი გულწრფელი, მრავალფეროვანი მოღვაწეობით ემსახურა სამშობლოს, მაგრამ ვაგლახ, რომ ბევრი გასაკეთებელი და სათქმელი დარჩა. უდროოდ წავიდა ჩვენგან ღირსეული ქართველი ინტელიგენტი, ბატონი ჯანრი კაშია. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილითა და სინანულის გრძნობით სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს – ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, მის დიდ ოჯახსა და ახლობლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

ჯარი

# დავით თევზაძე: „სამშობლოსათვის ომში წასული ჯარისკაცი სხვანაირ დახვედრას იმსახურებს“

**ავღანეთში ISAF-ის ეგიდით მიმდინარე ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობა აუცილებელია, თუმცა ცალკე საკითხია, რა რაოდენობის კონტინგენტი უნდა გააგზავნოს ქვეყანამ მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში. სამხედრო ექსპერტი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე ამბობს, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში, ხელისუფლება სამხედრო კონტინგენტის რაოდენობას რამდენიმე პარამეტრის გათვალისწინებით განსაზღვრავს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რა პოლიტიკური ამოცანის მიღწევას ცდილობს სახელმწიფო ასეთ ოპერაციებში მონაწილეობით.**

**ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის პრორექტორი ამბობს, რომ საქართველოს შემთხვევაში ეს პოლიტიკური ამოცანა მეტად ბუნდოვანია.**



**– ხელისუფლების განცხადებით, „ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ჩვენი მომავლისთვის საჭირო“ ავღანეთის მისიაში მონაწილეობა და კონტინგენტიც იზრდება. ასეთი პატარა ქვეყნისთვის 2000 პროფესიონალი სამხედროს გაშვება მიზანშეწონილია?**

– კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრა რამდენიმე პარამეტრზეა დამოკიდებული. პირველ რიგში, იმ პოლიტიკურ ამოცანაზე, რომლსაც საკუთარ თავს უსვამს ქვეყნის ხელისუფლება. შემდეგ, აქედან ზუსტდება სამხედრო ამოცანა. ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რა პოლიტიკურ მიზანს ემსახურება იქ სამხედრო ნაწილების ყოფნა, შესაბამისად, ძნელი სათქმელია, რამდენკაციანი კონტინგენტი უნდა გვყავდეს. საკმარისია ის, რაც გვყავს; საკმარისზე მეტია თუ ნაკლები. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც გაცხადებულია, მაშინ ოდნავ ჭარბია. მაგრამ მე მინდა დავაზუსტო, რომ ჩვენ ისევ არ ვიცით ის პოლიტიკური ამოცანა, რაც თავის თავს დაუსახა ხელისუფლებამ.

**– ხელისუფლება ამბობს, რომ ეს ხდება ჩვენი უსაფრთხოებისთვის, რაც მთავარია - ნატოში შესასვლელად...**

– მარტო ეს თუა ამოცანა, მაშინ კონტინგენტის რაოდენობა ცოტა ჭარბია.

**– ხელისუფლება ამ სიჭარბეზე რატომ არ ფიქრობს?**

– იქნებ ძალიანაც ფიქრობს, მაგრამ არის პრობლემები და ხელისუფლების მაგივრად ვერაფერს გიპასუხებთ.

**– რა სახის პრობლემებს გულისხმობთ?**

– უამრავი პრობლემაა. დავიწყოთ მსხვერპლით – ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა. რაღაც მომენტში, ეს მივა იმ ზღვარამდე, როდესაც ნებისმიერი პოლიტიკური მიზანი გახდება უკვე ნაკლებ მნიშვნელოვანი.

**– ანუ ავღანეთში დაღუპული 15 ქართველი ჯარისკაცი, არ არის ზღვარი?**

– გასაგებია, მაგრამ ზღვარი რომ იყოს, მაშინ ეს მოსახლეობას, მის ქცევას დაეტყობოდა. უფრო აქტიური პროტესტის განცდა გაჩნდებოდა, ვიდრე არის.

როდესაც შეერთებული შტატები ვიეტნამის ომში ჩაება, პრაქტიკულად, ამერიკელებმა მხარი დაუჭირეს ფრანგებს. მერე მოხდა რაღაცნაირად მათი შენაცვლება. ეს ომი, ამერიკელ ხალხში გარკვეულ ზღვრამდე მხარდაჭერით სარგებლობდა. მერე, უბრალოდ, როდესაც მსხვერპლის რაოდენობა მივიდა იმ დონეზე, რომ საზოგადოების აზრით ეს აღარ იყო ადეკვატური იმ პოლიტიკური მიზნებისა, ამ ომის საწინააღმდეგოდ მძლავრი მოძრაობა დაიწყო.

ერთხელ მოვიყვანე ეს მაგალითი – არაჩვეულებრივი მოკრივე, მუჰამედ ალი, რომელმაც უარი განაცხადა, ვიეტნამში ამერიკის დროშა ყოფილიყო, რის გამოც პრაქტიკულად უარი თქვა თავის კარიერაზე, სტატუსზე და ყველაფერზე. მას ამაზე საკუთარი პოზიცია ჩამოყალიბებული ჰქონდა – იქ რომ წავიდე, ამით მაგალითს მივცემ უამრავ ამერიკელ ახალგაზრდას, წავიდეს ომში და მე ამის გაკეთება არ მინდაო.

**– რაც შეეხება დაღუპული ჯარისკაცების ჩამოსვენებას, მისაღებია ასე ჩუმად ამის გაკეთება მაშინაც კი, როცა 3 ჯარისკაცი ერთდროულად იღუპება?..**

– არ არის კარგი! ჯერ ერთი, თუ ადამიანი წასულია სამშობლოს გამო და სამშობლოს დიადი მიზნის აღსასრულებლად (ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ ეს სიტყვაძ, ბუნებრივია, იმსახურებს იმას, რომ ცოტა სხვანაირი დახვედრა ჰქონდეს. არ აქვს მნიშვნელობა, რა მდგომარეობაში ჩამოვა – ჯანმრთელი, დაჭრილი თუ, ჩამოასვენებენ.

**– უცხოური მედიით ყოველთვის შუქდება, როგორ მიაგებენ დაღუპულ ჯარისკაცებს პატივს, ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. რატომ არის ჩვენთან განსხვავებული მიდგომა?**

– გასაგებია, და ვფიქრობ, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ამის გადაწყვეტილებას იღებენ, მათაც მიაჩნიათ, რომ ეს ჭარბი მსხვერპლია. რაღაცნაირად ფიქრობენ, რაღაც მეთოდით ისე გააკეთონ, რომ ამ პროცესებმა ზედმეტი ყურადღება არ მიიქციოს. არგახმიანების მიუხედავად, ჯარისკაცების დაღუპვის ფაქტი არ იმალება. უბრალოდ, მათდამი ასეთი დამოკიდებულება მათი ღვაწლის მნიშვნელობის ნაკლებად დაფასებას ნიშნავს.

მაგრამ ვიმეორებ – თხუთმეტი დაღუპული მართლა დიდი მსხვერპლია. პოლიტიკური მიზანი უნდა იყოს იმდაგვარი, რომ ეს მსხვერპლი გამართლებული იყოს. რეალური პოლიტიკური მიზანი, ვფიქრობ, არ ვიცით. აი, რაშია საქმე. დაჭრილთა გაცხადებული რაოდენობა, კონტინგენტის რიცხვი და მსხვერპლი, რომელიც კონტინგენტის გაზრდის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება – არის ჭარბი. მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.

**– რას გულისხმობთ?**

– იმ პრობლემას, რომ კონტინგენტი გაიზრდება. მსხვერპლიც მეტი იქნება. რაღაც მომენტში მივა იმ ზღვრამდე, რომ ვერ შეძლებს იმავე მეთოდით მოქმედებას, როგორითაც დღეს ხელისუფლება მოქმედებს.

**– დაჭრილთა რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოებაც პოლიტიკური ამოცანის ნაწილია?**

– შეიძლება ვიცით, შეიძლება – არც არავინ მალავს რამეს. მაგრამ არის ნდობის საკითხი, უბრალოდ, ჩვენ არ ვენდობით ოფიციალურ მონაცემებს, ამიტომ რთულია ინტერპრეტაციის გაკეთება. სავარაუდოდ, ჩვენ ვთვლით ასე: თუ დაღუპულია 15 ჯარისკაცი, ალბათ სამჯერ მეტი უნდა იყოს დაჭრილი, სამიდან – შვიდამდე, ეს არის ზოგადი პროპორციები. სხვადასხვა სახის დაზარალებული კიდევ ცოტა მეტი უნდა იყოს. ვინც ჩამოვა, მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას კიდევ სხვა სტატისტიკა აქვს. ამიტომ, რთული საკითხია. სავარაუდოდ, დაჭრილთა რაოდენობა ალბათ მეტია. ზუსტად არ ვიცით, ამიტომ ვთქვი სავარაუდოდ.

**– ავღანეთში წასულ ჯარისკაცთა უმეტესობა დაბალი სოციალური შეძლების ოჯახიდან არის. საგულისხმოა ისიც, რომ ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებს გაცილებით დაბალი ანაზღაურება აქვთ, ვიდრე სხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეებს. რატომ?**

– ძირითადად, ყოველთვის ასე იყო – ჯარში კონტრაქტით მოდიოდა ის ადამიანი, ვისაც სოციალურად ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა. თუმცა, ეს არ აისახებოდა მათ სამსახურზე და პატრიოტიზმზე. გასამრჯელოს ამერიკელი რატომ იღებს მეტს და... იმიტომ, რომ ამერიკა უფრო მდიდარი ქვეყანაა. ძალიან მარტივია.

ჩვენ ჯარი კოალიციაში მოქმედებისთვის გავაგზავნეთ... კი არ გვიჩუქებია ვინმესთვის! იმათ კი არ უქირავებიათ ჩვენი ჯარი. სახელმწიფო აგზავნის და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი ანაზღაურებაც.

ამერიკას შეუძლია გაუწიოს დახმარება შეიარაღებაში, გადაადგილებების საშუალებებში, სამედიცინო მომსახურებაში... ანუ უამრავი სფეროა, რაზედაც, როგორც ჩანს, ჩვენები დამოკიდებულები არიან.

**– რატომ იზრდება ჩვენი მხრიდან კონტინგენტი მაშინ, როდესაც აშშ კონტინგენტს 33 000 ჯარისკაცით ამცირებს?**

– ხომ გეუბნებით, რომ ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რა პოლიტიკური ამოცანა დგას სახელმწიფოს წინაშე. სამხედრო თვალსაზრისით, როდესაც გარკვეული კონტინგენტი გადის, რაღაც კონტინგენტი ხომ უნდა შეენაცვლოს მას? 33 000 ამერიკელი სამხედრო თუ გადის, მას 900 ქართველი ვერაფრით შეენაცვლება. ჩვენ ისიც არ ვიცით, იქ, ადგილზე, რა პოლიტიკური ამოცანები დგას.

**– ავღანეთის ოპერაცია დროში საგრძნობლად გაიწელა. ფიქრობთ, რომ აშშ ამ ომიდან გამარჯვებული გამოვა?**

– როცა დაიწყო, მაშინაც ჩანდა, რომ ეს ოპერაცია დროში გაიწელებოდა. ვინც ამას ვერ ხედავდა, მას უბრალოდ არ უნდოდა ამის დანახვა. ამ ომიდან გამარჯვებული ვერავინ გამოვა და ფაქტია, რომ უკვე აღარ არის გამარჯვებული. მაგრამ არა მარტო ამერიკა, მთელი ევროპაა ჩათრეული.

**– ჩვენ ვისაუბრეთ მსხვერპლის რაოდენობის ზღვარზე... იგივე ამერიკანატოსთვის არ არსებობს ეს ზღვარი?**

– როგორ არ არსებობს! ამ ზღვარს გადააჭარბეს და ამიტომაც გამოჰყავს ამერიკას ჯარი, თორემ იქ მათ საქმე არ დაუმთავრებიათ. მე მგონი, ჯარს უფრო მალე გამოიყვანენ, ვიდრე ეს ჩაფიქრებული იყო.

**– რა განაპირობებს ამას?**

– აქამდე ისე ჩანდა, რომ იქ საზოგადოება დაშლილი იყო. გარკვეულწილად, ავღანეთში იყო ხალხი, რომელიც ემხრობოდა, რომ თალიბანი არ ყოფილიყო და გარკვეულწილად პირობითად პროდასავლური იყო ხალხი, რომელიც ამას არ ურიგდებოდა. ისინი არ ჩანდნენ – ესენი ჩანდნენ. აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ საკუთარი ძალებით ავღანეთს უნდა შეძლებოდა თავისი პრობლემების, მათ შორის – სამხედროს საკითხის მოგვარება. მერე მოვლენები ისე განვითარდა და განსაკუთრებით ბოლო პროცესები (ვგულისხმობ წმინდა წიგნების დაწვასძ, რაც არც ერთ ნორმაში არ ჯდება და რაც დაუშვებელია, და ამან საერთო სახალხო პროტესტი გამოიწვია. არის იმ ხალხში რაღაც, რაც, ყველაფრის მიუხედავად, მათ აერთიანებთ. ამიტომ, უახლოეს მომავალში ამ ხალხის ასეთნაირად შეჩერება შეუძლებელი გახდება.

**– ანუ შეიძლება ავღანეთში პროცესები უმართავი გახდეს?**

– უმართავს ვერ გეტყვით, მაგრამ შეიძლება უფრო მეტად დააჩქაროს პროცესები. ჩვენ ვნახეთ, რომ მოხდა მრჩევლების და სამოქალაქო პირების გაყვანა, რადგან მთლიანად დაუცველები არიან, ანუ ის პროგრამები, რომლებსაც ეს მრჩევლები ემსახურებოდნენ, დაიხურა.

**– ამ ფონზე, იქ მყოფ სამხედროებს მეტი საფრთხე ემუქრებათ?**

– ბუნებრივია, და შეიძლება დაიწყონ სამხედროების გაყვანა. თუმცა, თვითონ გაყვანის ოპერაცია იქნება ძალიან რთული – რა ტერიტორიით გაიყვანენ, ვინ გაატარებს... მიმოვიხედოთ: გარშემო არის ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი და შუა აზია. შუა აზია მიბმულია რუსეთზე. ვინ მისცემს კორიდორს? ავიაციით გამოიყვანენ ყველაფერს თუ როგორ – რთული საქმეა. იქ მყოფი სამხედროებისთვის ახლა მეტად რთული მომენტია.

**– ჩვენი სამხედროები, ამერიკელებთან ერთად, ყველაზე ცხელ წერტილში – ჰელმანდში არიან. მათი მომზადების დონე ასეთი მაღალია?**

– ჩვენ არ ვიცით, როგორი გაწვრთნილია ჩვენი ჯარი, მაგრამ რადგან თვითონ ამერიკელები წვრთნიდნენ იმ კონტინგენტს, რომელიც იქ უნდა ჩასულიყო, მათ ეს კონტინგენტი გვერდში ამოიყენეს. როგორც ჩანს, რაღაც მომენტში ნდობა აქვთ. ისინი თვლიან, რომ ქართველი სამხედროები საკმარისად არიან გაწვრთნილნი, რომ მათთან ერთად იდგნენ ამ წერტილში. ამაში ცუდი არაფერია.

**დალი ბჟალავა**

**ვითხოვ ყურადღებას!**

**სამეგრელოში, ზუგდიდიდან 30 კილომეტრში არის მუნიციპალური დაქვემდებარების (წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შედის) ქალაქი ჯვარი.სვანეთის დასათვალიერებლად ან დასასვენებლად და გასართობად რომ გაგიწიოს გულმა, სამეგრელოს ეს ქალაქი უნდა გაიარო. ეს ის ქალაქია, რომელსაც ჩვენი ტელეჟურნალისტები რატომღაც სულ „სოფელ ჯვარად“ მოიხსენიებენ ხოლმე. ადრე ამ ქალაქში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, თუ არ ვცდები, სწორედ „საქართველოს რესპუბლიკის“ფურცლებიდან მიუთითა კოლეგებს: თუ ვერ ახერხებთ იმის დადგენას, რა დასახლებულ პუნქტში ჩადიხართ, „ენციკლოპედიაში“ ჩახედვას მაინც რაღა უნდაო“?! იმ ჟურნალისტმა, ეტყობა, ვერ გაითვალისწინა, რომ მისი კოლეგების ნაწილი, შესაძლოა, წიგნთან (ამ შემთხვევაში — „ენციკლოპედიასთან“) ვერ იყოს მაინცდამაინც ) „შეხმატკბილებულად“, ამიტომ მე უფრო გავაადვილებ საქმეს: ინტერნეტში, „ვიკიპედიაში“, ნახეთ. თან გაერთობით კიდეც!..**

# ჯვარული „მუზეუმი“,

## ანუ რატომ და ვისთვის ინახავენ იქაურები საგანგებოდ ვარდების რევოლუციამდელ „ექსპონატს?“

ჰოდა, სწორედ ამ ქალაქში **(ქალაქ ჯვარში!)** მცხოვრებ ერთ-ერთ ჩემს ნათესავს დავურეკე: ჩემთვის საინტერესო ტექსტის კომპიუტერზე აკრეფა და ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნა ვთხოვე. ჩემდა გასაკვირად უცნაური პასუხი მივიღე: „თუ ჩვენს დასახლებაში ვინმე რამეს არ ადუღებს (არ „სვარკავს“ რა!ძ და კომპიუტერის ჩართვა მოვახერხე, დიდი სიამოვნებითო“.

ასეთმა პასუხმა საკმაოდ დამაბნია და გასაგებად ახსნა ვთხოვე.

— საქმე ის არის, ძმაო, რომ, — მითხრა ნათესავმა, — „ენერგო პრო ჯორჯიას“ თანამშრომლებმა ჩვენს უბანში მდგარი და ჩვენს (მოსახლეობის!ძ მიერ შეგროვილი ფულით ნაყიდი ტრანსფორმატორები (ორი!ძ **„ოპტიმიზაციის“** (ასე გვითხრეს!ძ მიზნით აიღეს, სადღაც წაიღეს და რამდენიმე უბანი ერთ ტრანსფორმატორს მიგვაერთეს (ესე იგი, სიმწრით შეგროვილი ფულით ნაყიდ ტრანსფორმატორებსაც უყვეს „ოპტიმიზაცია“ და ჩვენცძ. ამის შემდეგ მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ ხშირად ძაბვა გასული საუკუნის 50-იანი წლებივით 170-180 ვოლტს არ სცილდება (ბოლოს და ბოლოს, სტაბილიზატორებსა და დენის გამაძლიერებლებს ვიყიდით!ძ, არამედ ის, რომ თუ ამ გაერთიანებულ სამ უბანში ვინმე რამეს აშენებს და შესადუღებელი აპარატი სჭირდება, წასულია ტელევიზორების, მაცივრებისა და კომპიუტერების საქმე, თუ, რა თქმა უნდა, ფხიზლად არ ხარ და ციმციმის დაწყებისთანავე სასწრაფოდ არ გამორთე. ორს უკვე გადაეწვა ტელევიზორი... არ მითხრა ახლა, ვინმეს რატომ არ მიმართავთო?

**— გკითხავ, აბა, არ გკითხავ?**

— ეჰ, ჩემო ძმაო, ჩვენ ცენტრალური გზიდან ცოტა მოშორებით ვცხოვრობთ და რა ყურადღების ღირსნი ვართ?! ის კი არა, პირდაპირ ქალაქის ცენტრში, ზუგდიდიდან სვანეთში მიმავალ ცენტრალურ ქუჩაზე, ორი კვირაა, რაც ელექტროსადენები ძირსაა ჩამოცვენილი. ცალკე შეშინებული მოსახლეობა რეკავს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მომსახურების სერვისცენტრში, ცალკე კიდევ გამწარებული ქალაქის რწმუნებული. შენც არ მომიკვდე, ყურსაც არ იბერტყავენ. არადა, ერთი საათი რომ გადააცილო დენის საფასურის გადახდა, იმწუთშივე გაგითიშავენ!

ეს საუბარი დაახლოებით ძველით ახალი წლის დღეებში გვქონდა. იანვრის ბოლოს თავად მომიწია სვანეთში ასვლამ. ქალაქ ჯვარში გავლისას მართლაც შევამჩნიე ზედ გზისპირზე ჩამოცვენილი ელექტროსადენები. სვანეთიდან ორი კვირის შემდეგ მოვბრუნდი. ჩამოცვენილი სადენები ხელუხლებელი იყო! ეგ კიდევ არაფერი. ჩემი გაკვირვება მაშინ უნდა გენახათ, როცა მარტში ეს სადენები ისევ ხელუხლებლად ვნახე. მანქანა გავაჩერე და შემთხვევით შემხვედრს გავესაუბრე. გამოირკვა, რომ სწორედ ამ ჩამოცვენილი სადენებით მიეწოდებოდა დენი ქუჩის მცხოვრებლებს.



**— კი მაგრამ, საშიში არ არის?!** — გავიოცე.

— საშიში როგორ არ არის, ჩემო ბატონო! მაგრამ ვინ გვაქცევს ყურადღებას?! ეგერ რკინის ელექტრობოძს შავი ლაქა რომ ამჩნევია, ხედავთ? ადრე იქ ერთი ასკილოიანი ღორი, ნეზვი, და ორი ოჯახის ძაღლი ერთად დენზე მიიწვა. ამჯერადაც, ალბათ, რაღაც უბედურებას ელოდებიან. ცხოველები ჯანდაბას, კაცი არ ემსხვერპლოს ვინმე! ბავშვები დადიან, სკოლის მოსწავლეები... ეგერ, თუ აკვირდებით, სადენები პირდაპირ მოსახლის ეზოშია ჩაცვენილი. არადა, იმ ეზოში პატარა ბავშვები თამაშობენ. კი გავაფრთხილეთ ბავშვები, მაგრამ, რა იცი, ფუი და, ეშმაკს არ სძინავს... ადრე ამას ჩვენ თვითონ შევაკეთებდით, მაგრამ ახლა „ენერგო პრო ჯორჯიას“ დაუკითხავად ხელი რო ახლო, უზარმაზარ ჯარიმას დაგაკისრებენ! — ამ კაცმაც ზუსტად ჩემი ნათესავივით გამიმეორა: — ცალკე ჩვენ ვურეკავთ „ენერგო პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლებს, ცალკე კიდევ — გამწარებული ქალაქის რწმუნებელი, მაგრამ ამაოდ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, რომ **კომპანიისთვის აბონენტებისგან რაც შეიძლება მეტი ფულის ამოღებაა მთავარი და არა — ხალხის სათანადო მომსახურება!**

ჯვარში ბოლოს 12 მარტს ვიყავი. ამ დროისთვისაც ჩამოცვენილი სადენებისთვის ხელი არ იყო ხლებული. საბედნიეროდ, არც რამე ცუდი შემთხვევა მომხდარა.

ჯვარში ყოფნისას ამავე ქუჩაზე სხვა რამემაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება.

რატომღაც „ენერგო პრო ჯორჯიას“, იმის მაგივრად, რომ ახალი ბოძები ჩაესვა და ისე მიეყვანა მოსახლეობამდე ელექტროგამანაწილებელი ხაზები, კაბელები პირდაპირ. ყოველგვარი იზოლატორების გარეშე, ქუჩის განათების რკინის ბოძებზე ჩამოუკიდია. როცა ამაზე მიმითითეს ადგილობრივებმა, მათ ერთი ახალგაზრდა შეედავა: „მერე რა, თვითონ კაბელია იზოლირებულიო“!

როგორც შეკრებილებმა მითხრეს, ეს ახალგაზრდა „ენერგო პრო ჯორჯიას“ თანამშრომელი ყოფილა, მაგრამ, სანამ დაველაპარაკებოდი, სადღაც მიიმალა.

მე, მართალი გითხრათ, ასეთ ტექნიკურ საკითხებში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი (თუმცა, მაინც მგონია, რომ უსაფრთხოების წესები დარღვეულიაძ, მაგრამ ერთი რამ, სამწუხაროდ, ნათელია — კაბელების სიმძიმისთვის ქუჩის განათების სპეციალურ ბოძებს ვერ გაუძლია, მეტ-ნაკლებად ყველა გადაღუნულა და ქუჩის ერთ დროს, ალბათ, ლამაზი განათება, რბილად რომ ვთქვათ, ვერ არის საამო სანახავი, რომ ადგილობრივ თუ უცხოელი ტურისტებს თავი მოაწონოს. გასაოცარია, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა როგორ დართო ნება სხვას (ვინც გინდა იყოს!ძ, თავის დროზე მის მიერ გაკეთებული განათება ასე დაემახინჯებინა?!

იმავე ქუჩაზე გზისპირა არხი დამყაყებული წყლითა და შლამითაა სავსე. სრული სიბინძურეა! წარმოდგენილი მაქვს, რა იქნება აქ ზაფხულის პაპანაქებაში?!

**— ესეც ენერგოკომპანიის ბრალია?** — უნებურად თავი ვერ შევიკავე და ირონიით ვკითხე ადგილობრივ მცხოვრებლებს.

— ამ არხს ყოველთვის ჩვენ, ამ ქუჩის მცხოვრებლები, ვწმენდით ხოლმე. — გვითხრა ერთმა საშუალო ასაკის კაცმა, — ამისთვის ხელისუფლება არასოდეს შეგვიწუხებია, — ჩვენი ქუჩა ჩვენი სახეა! მაგრამ თანდათან, წვიმების დროს, გადამკვეთი ქუჩიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა ქუჩების შეერთებასთან ჩადებული წყალგამტარი მილი ამოსილა და ვერაფრით გავწმინდეთ. დახმარებისთვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს მივმართეთ, იმან კიდევ მოგვწერა: ეგ ქუჩა ჩვენ არ გვეკუთვნის, ზუგდიდის საგზაოსიაო.

მართალი გითხრათ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის შესახებ ერთი აქაური ჩემი კოლეგისგან ბევრი კარგი მსმენია და მოსაუბრეს შევეკამათე:

**— ალბათ, თქვენ იმ წერილის ასლი მიიღეთ, სავარაუდოდ, გამგებელმა ზუგდიდის საგზაოს თქვენს წერილთან ერთად რომ გადაუგზავნა!**

— თუ ჩემი არ გჯერა, სწორედ იმ შენს კოლეგას ჰკითხე, წერილი სწორედ მასთან ინახებაო! — არ შემეპუა მოსაუბრე.

ჩემს კოლეგასთან დაკავშირება მხოლოდ ტელეფონით შევძელი:

— რას ლაპარაკობ, ჩვენი გამგებელი ისეთი ყურადღებიანი და დაინტერესებული კაცია, შუა გზაზე არ მიატოვებს მოსახლეობის მიერ დასმულ მართლაც აქტუალურ საკითხს, ზუგდიდის საგზაოსაც ჩააყენებდა საქმის კურსში და როგორც კი თოვლს აიღებს, უეჭველად, ადგილზევეც გაეცნობა სიტუაციასო! — მიპასუხა.

კოლეგის ნათქვამში ეჭვის შეტანა, ალბათ, არაკოლეგიალობა იქნება, მაგრამ სადღაც მაის-ივნისში უცხოელ სტუმრებს ველი, საქართველოში უნდა ვუმეგზურო, ჯვარში ენგურჰესის უნიკალური თაღოვანი კაშხალიც უნდა ვაჩვენო, სვანეთშიც უნდა ავიყვანო. აბა, ჩემო ჯვარელებო და წალენჯიხელებო, ამ ორასიოდე მეტრის სიგრძის გზის გულისთვის ხომ არ ჭამთ სირცხვილს?!

**თბილისისკენ რომ მოვდიოდი, გზაში ენამოსწრებული ჯვარელის ნათქვამი მახსენდებოდა. როცა ერთმა ჩემმა თანამგზავრმა გაიოცა: „საკვირველია, თბილისიდან მესტიამდე ასეთ ჩაოხრებულ-ჩაბინძურებულ გზის მონაკვეთს ვერსად ნახავ“?!**

**— საგანგებოდ მუზეუმად ვინახავთ, ბატონო! — უპასუხა მას ჯვარელმა, - უცხოელ ტურისტებს უნდა ვანახვოთ, როგორ ვცხოვრობდით ვარდების რევოლუციამდე!**

**გურამ სიხარულიძე,**

თბილისი-ჯვარი-მესტია-თბილისი

**მოვლენის ექო**

# „ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა...“

**დასავლეთის პრესა განაგრძობს რუსეთში პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გამარჯვებაზე მასალების გამოქვეყნებას, სადაც კვლავაც ლაპარაკია მისი პრეზიდენტად არჩევის მექანიზმებსა და იმ პრობლემებზე, რომელთა დაძლევა მას მოუწევს.**

**ამერიკის შეერთებული შტატების** პრესა ისევ გესლიანად წერს პუტინის გამარჯვების შესახებ და აღნიშნავს, რომ ბოლო წლების მანძილზე იგი, ფაქტობრივად, არც არსად წასულა. ცნობილი ტელეარხის **CNN**-ის მიმომხილველის აზრით, **„რუსეთი კვლავაც ის ქვეყანა იქნება, რომელიც პუტინის პრეზიდენტად კიდევ ერთხელ არჩევამდე იყო... მედვედევისთვის საგარეო პოლიტიკის გატარების უფლების გადაბარება, არსებითად, ფარსი იყო. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების მიღმა ყოველთვის პუტინი იდგა. ახლა კი, უბრალოდ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა“,** — მიაჩნიათ **CNN**-ში.

**ინგლისელებიც** განაგრძობენ მოსკოვის არჩევნების ფალსიფიცირებაში დადანაშაულებას. კერძოდ, გაზეთ Financial Times-ის ჟურნალისტები თვლიან, რომ **„რუსეთში ყველაფერი ძველებურად რჩება... პუტინის ხელისუფლება წელში გატეხილი არც არასდროს ყოფილა. არჩევნების გაყალბების თაობაზე ბოლო ცნობების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ ბოლო კვირების მანძილზე მისი დაპირებები უბრალო პიარი იყო, მათ შესრულებას არც არავინ აპირებს“,** — აღნიშნავს გამოცემა.



**BBC**-ის აზრით კი **„ახლო მომავალში რუსეთი გახლეჩილი აღმოჩნდება... ისინი, ვინც პუტინს უჭერდა მხარს, ამტკიცებენ, რომ მისი რეიტინგი ყოველთვის 60 პროცენტის ფარგლებში იყო, თანაც ახლახან ჩავლილი არჩევნები უწინდელებზე გაცილებით გახსნილი იყო. ისინი კი, ვინც პუტინის მოწინააღმდეგეთა ბანაკებში იყვნენ, არასდროს დაიჯერებენ, რომ მას მოსახლეობის ესოდენ მაღალი ნდობა აქვს“,** — მიაჩნიათ მედიაკორპორაციაში.

რაც შეეხება **გერმანულ** პრესას, უნდა ითქვას, რომ იქაური ჟურნალისტები მაინცდამაინც დიპლომატიურობას არ იჩენენ. მაგალითად, ჟურნალმა Spigel-მა არჩევნებს არცთუ პატიოსანი უწოდა. **„პუტინი თავიდანვე საპრეზიდენტო არჩევნების ფავორიტი იყო, ამიტომაც ამ სრბოლაში მონაწილეობის უფლება წინასწარ სუსტებად ცნობილ კანდიდატებს მისცა“. „ჯერ კიდევ მთავრობის ხელმძღვანელად ყოფნისას, საარჩევნო უბნების დახურვისთანავე, პუტინმა თავისი „წმინდა გამარჯვების“ აღსანიშნავი ზეიმი დაიწყო“,** — ასეთია პუტინისთვის წაყენებული Spiegel-ის ჟურნალისტების ბრალდებები, ხოლო გამოცემა Rhein Zeitung-ის ჟურნალისტებმა იმედი გამოთქვეს, რომ **„გამარჯვების შემდგომ პუტინი ოპონენტებთან ძალის პოზიციიდან ურთიერთობიდან დიალოგზე გადავა“.**

**ფრანგულმა** პრესამ კი რუსეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები უბრალოდ არადემოკრატიულად გამოაცხადა, რაც როგორც წინა საარჩევნო პერიოდს, ასევე უბნებში ხმის მიცემის პროცესს ახასიათებდა.

ევროპელ კოლეგებს შორის ყველაზე მეტად თავშეკავებულები **ესპანელი** კოლეგები აღმოჩნდნენ. კერძოდ, გაზეთ El pais-ის ჟურნალისტების აზრით **„პოლიტიკური სისტემის რეფორმირების გარდა პუტინმა სასწრაფოდ უნდა ალაგმოს კორუფცია და ნახშირწყალბადების ექსპორტისგან ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად აუცილებლად უნდა გაატაროს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები“. „ახლა საქმე მხოლოდ იმაზეა, დაველოდოთ: მართლაც გაატარებს თუ არა პუტინი ამ ზომებს და შეძლებს თუ არა მათ სრულფასოვნად განხორციელებას“,** — ასეთია ესპანელ ჟურნალისტთა აზრით რუსეთში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ აუცილებელი სამოქმედო გეგმა.

**ცალკეა აღსანიშნავი, რომ რუსეთის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინის არჩევას მხოლოდ იაპონური ტელეარხი მიესალმა, რომელმაც მას „მოსალოდნელი“ უწოდა. საქმე ის არის, რომ იაპონელებს დიდი იმედი აქვთ იმისა, რომ ძალაუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ ისინი შეძლებენ კურილის კუნძულების, ანუ ეგრეთ წოდებული საკუთარი „ჩრდილოური ტერიტორიების“ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას.**

**ლალი ხუნდაძე**

ვულოცავთ!

# მთარგმნელის გამარჯვება

## ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართულმა პოეტურმა თარგმანმა დაიმსახურა საერთაშორისო პრემია — „წლის წიგნი“

**2012 წლის 8 თებერვალს თეირანის „ერთიანობის დარბაზში“ ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის და კულტურისა და ისლამური დამოძღვრის მინისტრის მონაწილეობით შედგა საერთაშორისო პრემიით — „წლის წიგნი“ — დაჯილდოების ცერემონიალი. ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ პოეტური თარგმანისთვის პოეტს და მთარგმნელს ბელა შალვაშვილს მიენიჭა აღნიშნული პრემია.**

11 თებერვალი ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულია, 1978-1979 წ.წ. ისლამური რევოლუციის გამარჯვების დღეა. ტრადიციულად თებერვლის პირველი რიცხვებიდან 20-25 თებერვლამდე თეირანში ტარდება სრულიად ირანის ღონისძიებები, რომლებიც ეძღვნებიან აღნიშნულ თარიღს და ასახავენ მრავალმილიონიანი (ამჟამად — 78 მილ.ძ, მრავალეროვანი და მრავალკონფესიური ქვეყნის მიღწევებს განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, მშრომელთა მხატვრული თვითშემოქმედების დარგებში.

ირანელი მოქალაქეების მიერ გამოცემული წიგნების შეფასების გარდა უცხოელთათვის დაწესებულია ორი ნომინაცია — ირანისტიკაში და ისლამმცოდნეობაში (გამოკვლევა და თარგმანიძ. ტრადიციულად ირანისა და სხვა ქვეყნების 50-მდე სასწავლო და კვლევითი დაწესებულების წარმომადგენლებისგან შემდგარი ჟიური რამდენიმე ეტაპად განიხილავს ამ ნომინაციით წარმოდგენილ 1000-ზე მეტ გამოკვლევას ან თარგმანს. აქედან შეირჩევა ხოლმე 10-12 საუკეთესო, რომელშიც ამჯერად ფირდოუსის (X-XI ს.ს.ძ „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანი მოხვდა.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული ისლამამდელ ირანში გავრცელებული თქმულებების პერსონაჟების საკუთარი სახელები, მაგალითად, „ვაშთაშაბი“ (ვიშთასბ, „შაჰ-ნამეში“ გოშთასბძ, „ბევრასპი“ (ბევარასბ, „შაჰ-ნამეში“ ბივარასბძ, მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ „შაჰ-ნამეს“ შექმნამდე ქართველები იცნობდნენ იმ თქმულებებს, რომლებიც სიტყვაკაზმულობის უდიდესმა ოსტატმა ფირდოუსიმ დამუშავებული სახით წარმოადგინა თავის „შაჰ-ნამეში“. გარდა თქმულებებისა, ფირდოუსიმ გამოიყენა მრავალი წერილობითი წყარო, რომელთა შესახებ აღნიშნავს: „ბევრი ჯაფა ავიტანე, ბევრი ნაწარმოები წავიკითხე არაბულ და ფალაურ ენებზე დაწერილი“.

პროფ.დავით კობიძის შეფასებით — **„შაჰ-ნამე“ დიდი პოეტური გულისხმიერებით არის დამუშავებული. ფირდოუსი ოსტატურად ახერხებს ენის ძველი და ახალი ფორმების ერთმანეთთან შეზავებას, აზრის გასაგებად, ნათლად გამოთქმას. მისი ლექსი ყოველმხრივ მდიდარია. იგი, თავისუფლად მოლივლივე, სავსეა მუსიკალობით, ბგერათა შეხმატკბილებით, მხატვრული სახეებით: შედარებებით, ეპითეტებით, მეტაფორებით“.** პროფ. ალექსანდრე ბარამიძის თქმით: **„იდეურ სიღრმესთან ერთად „შაჰ-ნამე“ სანიმუშოა ფორმის მხატვრული სრულყოფით“.**

საუკუნეების მანძილზე, განსაკუთრებით XVI-XVIII ს.ს., ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ „შაჰ-ნამეს“ ნაწილების პოეტურ და პროზაულ ქართულ ვერსიებს სხვადასხვა სათაურით: „როსტომიანი“, „ზირაქიანი“, „წიგნი საამ-ფალავნისა“ და სხვა. XX ს. დასაწყისში ფირდოუსის „შაჰ-ნამისა“ და მისი ქართული ვერსიების მეცნიერული კვლევის საქმეს საფუძველი დაუდო პროფესორმა იუსტინე აბულაძემ.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ქ-ნი ბელა შალვაშვილის ლექტორმა პროფ. ვახუშტი კოტეტიშვილმა ფაქტობრივად დაავალა მას „შაჰ-ნამეს“ თარგმანზე მუშაობის დაწყება. მალე პოემის ერთი ეპიზოდის („მანუჩარი“ძ თარგმანი იყო მზად. მკითხველს ვაახლებთ ამონარიდს პროფესორ ვ.კოტეტიშვილის რეცენზიიდან: **„... ვისაც თუნდ ერთხელ ჩაუხედავს ფირდოუსის პოემის სპარსულ ტექსტში, ვისაც თვალები ამოჰღამებია მისი ჩამძივებული ბაითების კითხვისას, ის ადვილად გაიგებს, თუ რაოდენ დიდი სირთულე იმალება ამ გენიალური პოეტის თითქოსდა გარეგნული სისადავის მიღმა. განსაკუთრებულია ფირდოუსის ენა, თხრობის მანერა, ხატოვანი აზროვნება, ბატალური სცენების დინამიკა, ისე ლირიკული წიაღსვლების ფილოსოფიური სიღრმე. ყოველსავე ამას ჩაწვდომა უნდა, მაგრამ ჩასაწვდომად მხოლოდ სურვილი და გულისყური არ კმარა, ჭეშმარიტი პოეტური ნიჭია საჭირო, რომ ამ სიღრმეებს ჩასწვდე, გადმოაქართულო, შენც განიცადო და სხვასაც განაცდევინო სიდიადე ძეგლისა, რომლის პირისპირ ფუჭად დაშვრნენ საუკუნეთა ქარნი ხორშაკნი.**

**სასიხარულოა, რომ ბელა შალვაშვილმა დაძლია ეს დიდი დაბრკოლებანი, მის თარგმანში იგრძნობა ფირდოუსის დარბაისლური თხრობის მდინარება, რთულ პოეტურ ხატთა სისადავე, ზომიერი ჰიპერბოლიზმი და სიბრძნით დაოკებული მგზნებარება. მთარგმნელისთვის ეს უკვე ჭეშმარიტი გამარჯვებაა...“**

ქალბატონი ბელა 40 წელია იღვწის ფირდოუსის დიდებული საგმირო-სარაინდო ეპოსის ქართულ პოეტურ თარგმანზე. პრემიაზე წარდგენილი წიგნი (779 გვ.ძ დაიბეჭდა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელშეწყობით. წიგნის რედაქტორია პროფ. ლილი ჟორჟოლიანი, „შაჰ-ნამეს“ და მისი ქართული ვერსიების ჩინებული სპეციალისტი. წიგნს ამშვენებს მხატვარ იოსებ გაბაშვილის მინიატიურები.

**ჯემშიდ გიუნაშვილი,**
პროფესორი.

**სურათზე:** თეირანში „შაჰ-ნამეს“ ქართველი მთარგმნელისთვის გადასაცემად საპატიო სიგელი ირანის პრეზიდენტმა, დოქტორმა აჰმადინეჟადმა ჩააბარა საქართველოს ელჩს ირანში გია ჯანჯღავას.



ძმობა ორმხრივი უნდა იყოს!

# საინგილო — „სამაგალითო მეგობრობის“ სამწუხარო შტრიხები

პრეზიდენტი სააკაშვილი მორიგი ვიზიტით აზერბაიჯანს სტუმრობდა. ბაქოში გამართულ შეხვედრებზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ორი ქვეყნის სტრატეგიულ ურთიერთობას. მხარეები ახალი ერთობლივი პროექტების განხორციელებასაც გეგმავენ.

„მილი მეჯლისში“ სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა ქართულ-აზერბაიჯანული მეგობრობის ისტორიაზე და დღევანდელობაზე ისაუბრა. ყურბან საიდის „ალი და ნინო“ ამ ურთიერთობების ნიშანსვეტად მოიხსენია. სხვასთან ერთად, არის სურვილი ევროპის 2020 წლის საფეხბურთო პირველობის საქართველო-აზერბაიჯანში ჩატარებაზე.

აზერბაიჯანული მხარე ჩვენი საზღვრის მიმართულებით ავტობანის მშენებლობასაც დაიწყებს, რომელიც თბილისი-რუსთავის ავტობანს შეუერთდება. დაგეგმილია რამდენიმე ახალი ერთობლივი პროექტის განხორციელება ტურიზმისა და სპორტის სფეროში. ოფიციალური ბაქო საკუთარ კაპიტალს საქართველოში ახალი ჰესების მშენებლობაში ჩადებს, დაგეგმილია ერთობლივი ენერგეტიკული კომპანიის შექმნა, რომელიც ელექტროენერგიის ექსპორტს ევროპის ქვეყნებში განახორციელებს.

პრეზიდენტის გამოსვლას აზერბაიჯანული მხრიდან გარკვეული კრიტიკული შეფასებებიც მოჰყვა. „მეჯლისის“ ერთ-ერთი წევრის შეფასებით, სააკაშვილმა ბევრი ისაუბრა ქართული მიწების რუსულ ოკუპაციაზე და სიტყვა არ დასცდენია იმაზე, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიის 20 პროცენტი მეზობელ სომხებს აქვთ დაპყრობილი. თავად დეპუტატს არ გახსენებია ის ხაზგასმით რბილი პოზიცია, რაც ოფიციალურმა ბაქომ 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიისას დაიკავა.

**თავის მხრივ, სააკაშვილს სიტყვა არ დასცდენია საინგილოში (ჰერეთში) მცხოვრებ ქართველებზე და მათ პრობლემებზე.** უკვე მერამდენეჯერ ასე ხდება და ამაზე არც ყოფილა დიდი მოლოდინები. **სააკაშვილმა ორი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოიცალა, რომ კახში, ზაქათალასა და ბელაქანში ჩასულიყო.** ეს მაშინ, როცა აზერბაიჯანელი ლიდერი ლამის ყოველ ჩამოსვლაზე მარნეულის რაიონს სტუმრობს.

ვიზიტის პირველ დღეს ერთ-ერთმა ქართულმა, „ნაციონალურმა“ ტელეარხმა გვამცნო, რომ კახში ქართული კულტურის ცენტრი აღდგება. სამწუხაროდ, არავის გახსენებია, რომ ეს ცენტრი უკვე კარგა ხანია ფუნქციონირებდა და სამი წლის წინათ, საეჭვო ვითარებაში დაიწვა. ჰერელები პირდაპირ ხელს ადებდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციას. აქედან გამომდინარე, საუბარია ქართული კულტურის ცენტრის აღდგენაზე და არა თავიდან დაარსებაზე.

მისასალმებელი ფაქტია, რომ კახში კულტურის ცენტრი გაიხსნება, სადაც ქართული თეატრი და ბიბლიოთეკა განთავსდება. შესაბამისი შეთანხმება უკვე ხელმოწერილია. თეატრს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული ცნობიერების ამაღლებაში და იმედია, ბაქოში გაკეთებული განცხადებები ლიტონ სიტყვებად არ დარჩება. უახლოეს ისტორიას ასეთებიც ბევრი ახსოვს.

თავის დროზე, კახის ქართული კულტურის ცენტრი საგარეო მინისტრებმა პომპეზურ ვითარებაში გახსნეს. მაშინ ბევრი კარგი სიტყვები ითქვა. მოგვიანებით, ცენტრის თანამშრომლებმა რამდენიმე საკითხში პრინციპული პოზიცია დაიკავეს, რაც ადმინისტრაციის ჩინოვნიკებს არ მოეწონათ. ერთ-ერთი მათგანი ქურმუხის ეკლესიის კუთვნილებას ეხებოდა, რომელსაც აზერბაიჯანელები დღემდე, არც მეტი, არც ნაკლები, „ალბანური კულტურის ნიმუშად“ თვლიან. ამ დაპირისპირებას კი კულტურის ცენტრის განადგურება მოჰყვა.

ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ ხმაკრინტი არ იძვრის ზაქათალაში და ბელაქანში მცხოვრებ, უპირატესად — გამაჰმადიანებულ ქართველებზე. იქიდან მოწოდებული ინფორმაციით კი, **ზაქათალის გამგებელმა სააკაშვილის ვიზიტის ფონზე ინგილოებს კრება ჩაუტარა და გააფრთხილა, ხელი აიღონ საქართველოსთან მჭიდრო კავშირებზე.** გამგებელი თბილისში აღებულ დიპლომებს „არაფრად“ მიიჩნევს და კურსდამთავრებულებს „ჰპირდება“, რომ სამუშაოს შოვნა გაუჭირდებათ. ეს კი, ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქართულ სკოლებს გაქრობის წინაშე აყენებს. **სამწუხაროდ, „სამაგალითო მეგობრობა“ ასეთ შტრიხებსაც შეიცავს.**

კიდევ ერთელ ვიმეორებთ, რომ ქვეყნებს შორის მეგობრობა ორმხრივად უნდა ვითარდებოდეს. ფეხის დადება და ქართული დიასპორის პერმანენტულად შევიწროება სამომავლოდ კარგს არაფერს მოიტანს. ამ შემთხვევაში, ყურბან საიდიც უკან დაგვრჩება. თბილისსა და ბაქოს შორის ობიექტურად პრობლემები არ უნდა არსებობდეს და ვინც მათ შექმნის, დროულად საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს.

ცნობისთვის, საინგილო, მხარე ფეოდალური ხანის საქართველოში, ისტორიული კახეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, თანამედროვე აზერბაიჯანში. მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. ტერმინი „საინგილო“ XIX საუკუნეში დამკვიდრდა ინგილოებით დასახლებული მხარის აღსანიშნავად. გამაჰმადიანებულ ქართველს ინგილოს ეძახდნენ, რაც თურქულად „ახლად მორჯულებულს“ ნიშნავს. აქედან წარმოსდგება სახელები „ინგილო“ და „საინგილო“.

საინგილო შედგებოდა კაკ-ენისელისგან და ელისუს სასულთნოსაგან. ტერიტორია ადრინდელ საუკუნეებში ძველი ქართული პროვინცია ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. XI საუკუნის დასაწყისში ადმინისტრაციულად მაჭის საერისთავოს ფარგლებში მოექცა.

XVI-XVII საუკუნეებში პოლიტიკურმა ცვლილებებმა კახეთის სამეფოში, ოსმალეთისა და სპარსეთის გამუდმებულმა აგრესიამ და დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმებმა ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია, ნადგურდებოდა მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, მის ადგილზე სახლდებოდნენ წახურელი და ავარიელი ლეკები. ერთდროულად ხდებოდა ქართველი მოსახლეობის დაყმევება და გამაჰმადიანება. დროთა ვითარებაში საინგილო საერთოდ მოსწყდა კახეთის სამეფოს.

XVIII საუკუნის I მეოთხედში აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი (ჭარი, ბელაქანი, კატეხი, თალა, მუხახი, ჯინიხიძ და წახურელი (წახური, ელისუ, სუვაგილო და ყარადულაკიძ ლეკების ე. წ. თავისუფალი თემები. კახეთის მეფეების მრავალი ცდა, გაეთავისუფლებინათ აღმოსავლეთ კახეთის მიწები, უშედეგოდ მთავრდებოდა. 1803 წელს ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა. 1830 წელს ცარიზმა გააუქმა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნა ჭარ-ბელაქნის ოლქი, მის ბაზაზე კი 1840 — ბელაქნის მაზრა, რომელიც ადმინისტრაციულად საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა. 1842 წელს იგი კვლავ ცალკე ოლქად გამოიყო, ხოლო 1844 წლიდან ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი გახდა. 1860 წლიდან იგი ზაქათალის ოკრუგად იწოდებოდა და ექვემდებარებოდა დაღესტნის ოლქს. ამავე დროს ყოფილი ელისუს სასულთნოს მთიანი ნაწილი ე. წ. მთიანი მაღალი, შეუერთდა სამურის ოკრუგს. 1921 წლიდან აზერბაიჯანის სსრ ფარგლებშია.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით საინგილო მოიცავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას.

**ნიკა მეტრეველი**
Presage.tv

## ◉ ინფორმაცია

### დიმიტრი შაშკინი მეთორმეტეკლასელ აზერბაიჯანელ და სომეხ მოსწავლეებს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამა, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას გულისხმობს, გრძელდება.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელი და სომეხი აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას სპეციალური კვოტებით ისარგებლებენ — ისინი მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდას მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულად და სომხურად) ჩააბარებენ და მოსამზადებელ ფაკულტეტებზე ჩაირიცხებიან.**

**ერთი წლის განმავლობაში სტუდენტები ქართულ ენას ინტენსიურად შეისწავლიან და შემდეგ წელს, სასურველ ფაკულტეტზე, უმაღლესი განათლების მისაღებად გააგრძელებენ სწავლას.**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეთორმეტეკლასელ აზერბაიჯანელ და სომეხ მოსწავლეებს შეხვდა და პროგრამასთან დაკავშირებული დეტალები პირადად გააცნო. მინისტრმა აბიტურიენტთა შეკითხვებსაც უპასუხა.**

**ახალი პროგრამით ყოველწლიურად უფრო მეტი არაქართულენოვანი აბიტურიენტი სარგებლობს, 2010 წელს კი, მათი რიცხვი მხოლოდ სამი იყო. პროგრამა სრულფასოვნად გასულ წელს ამოქმედდა და მის ფარგლებში 300-მდე აბიტურიენტმა მხოლოდ უნარები ჩააბარა, ქართული ენა შეისწავლა და 2011-2012 სასწავლო წლიდან უკვე აკადემიურ პროგრამებზე სასურველ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ისინი დაფინანსებას ზოგად უნარებში მოპოვებული ქულების მიხედვით იღებენ.**

### თბილისი ცეკვის საერთაშორისო ოლიმპიადას უმასპინძლებს

**თბილისი ცეკვის მე-3 საერთაშორისო ოლიმპიადას უმასპინძლებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრიდან აცნობეს, ოლიმპიადა 24-25 მარტს გაიმართება, რომელსაც ორგანიზებას „საქართველოს თანამედროვე და საესტრადო ცეკვების ფედერაცია“ გაუწევს.**

**ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარდება შეჯიბრებები აკადემიურ, თანამედროვე და საესტრადო ცეკვებში.**

**ასევე, გაიმართება მასტერ-კლასები და სემინარები როგორც მონაწილეებისთვის, ისე ქართველი და უცხოელი ქორეოგრაფებისთვის.**

**საქართველოში მოღვაწე კოლექტივების გარდა, ტურნირებში მონაწილეობას უკრაინის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის სხვადასხვა ასაკის სოლო შემსრულებლები და ჯგუფები მიიღებენ.**

**გამარჯვებულები გამოვლინდებიან 14-ზე მეტ ნომინაციაში, რომელთაც სპეციალური პრიზები და სიგელები გადაეცემათ.**

**ოლიმპიადისთვის სპეციალურად შეირჩა ქართველი და უცხოელი მსაჯებისგან შემდგარი ჟიური, რომელსაც ცეკვის საერთაშორისო ორგანიზაციის (IDO) ვიცე-პრეზიდენტი ანდრეი კოკოულინი უხელმძღვანელებს.**

ინტერპრესი

## ◉ განუკითხაობა

**მას სე მე კი იაქეც აღარ მომდის-მეთქი! — გავიფიქრე მოულოდნელად აღმოჩენილი ამ კალამბურით გულშემოყრილმა, როდესაც „სემეკში“ გაგორებულ „კამათელს“ შევავლე გონების თვალი.**

დიახ, კამათელს, წითელი კოჭივით ალჩუზე რომ დაუსვეს წყალმომარაგების ქუთაისის სერვის-ცენტრს, როდესაც საქართველოს ქალაქებიდან ერთადერთსა და გამონაკლისს, უფლება მისცეს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის 2011 წლის 28 სექტემბრის განაცხადის საფუძველზე გადაეხედა ტარიფებისათვის და გამრიცხველიანებული აბონენტებისათვის წყლის გადასახადი ფაქტობრივად გაეორმაგებინა.

მიზეზი?

**„მომხმარებლების გამრიცხველიანების დაწყება, რამაც გამოიწვია წყლის მოხმარების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც შესაბამისად, გავლენას იქონიებს კომპანიის შემოსავალზე“.**

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა! ასე, სიტყვასიტყვით სწორედ ასეა ჩაწერილი „სემეკის“ 2011 წლის 26 ოქტომბრის სხდომის ოქმში. ამ სხდომას კი სხვებთან ერთად თურმე საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის პასუხისმგებელი მუშაკებიც — ვ. ფხაკაძე, ბ. სიორდია, ნ. გულეიშვილი, ზ. მოდებაძე და გ. კენჭოშვილი ესწრებოდნენ. დიახ, ესწრებოდნენ, მაგრამ სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ გაბელაიამ წყალმომარაგების ტარიფების გაზრდის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების საკითხი ისე დააყენა, რომ არც კომისიის წევრებსა და არც საზოგადოებრივ დამცველებს სიტყვაც კი არ დაუსველებიათ.

როგორ დაასველებდნენ, როცა მათი დუმილი „სემეკში“ ოქროსავით დაფასდა, იმ ოქროსავით, რომელმაც თითოეული კუბური მეტრი გაძვირებული წყლის ფასი მისივე მოცულობის გაზის ფასს გაუთანაბრა.

**რას იტყვი, მკითხველო, ხომ კარგი საზოგადოებრივი დამცველები გვყოლია?**

* * *

შაშის დროულად მოსვლის იმედი ცხოვრებამ ხალხს დიდი ხანია დაუკარგა, მაგრამ იაქედ ის ჩაგვეთვალა, რომ ქუთაისს 24-საათიანით ვერა, მაგრამ წყალს ამჯერად ყოველდღიურად, თუმცა ისევ რამდენიმესაათიანი გრაფიკით აწოდებენ. ეს „ფუფუნება“ უკვე დაგვიჯდა ათობით მილიონი ლარი, რომელიც ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ვახშთან ერთად უნდა გადაიხადონ. ამასთან მარტო ამ მხრივ როდი გვაზარალეს.

**მილენიუმის პროგრამით ქუთაისელებს ინდივიდუალური გამრიცხველიანებისათვის უცხოელებმა 22 ათასი აპარატი აჩუქეს, მაგრამ ხალხზე „მზრუნველმა“ ჩვენებურებმა უფასოდ მხოლოდ 7 800 დაამონტაჟეს.**

**დანარჩენი სად გაქრა?**

ამის პასუხს ჯერჯერობით არავინ იძლევა. არადა, საუბარია უკვალოდ გამქრალ რამდენიმე მილიონზე და ამის დამატებით თითოეული მოსახლისაგან 100 ლარის გამოძალვაზე. ეს 100-100 ლარი კი ერთ მილიონ 420 ათასს შეადგენს.

**რას იტყვით? ვფიქრობ, არაა ცოტა!**

* * *

— თუ დანაშაული იცი და არ ამხელ, ეს ნიშნავს, რომ თვითონაც დამნაშავე ხარ და კანონის წინაშე უნდა აგო პასუხი. — არაერთხელ განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციების „ასას“, „ასა-პლუსის“, ახალგაზრდა იურისტთა და ეკონომისტთა ასოციაციების წარმომადგენლებმა იმ შეხვედრებისას, რომლებიც სახელისუფლო და სხვა ოფიციალური პირების მონაწილეობით სხვადასხვა ოფისში იმართება. **თუმცა მათ ხმას კი არა, პარლამენტში პრეზიდენტის ვიზიტისას ამავე თემაზე მთელი ქვეყნის გასაგონად ნათქვამსაც არ**

# ღმერთმა ნუ ქნას, მოთმინების ძაფი გაწყდეს!

## აქა ამბავი წყლისა და წყალწაღებულებისა!



**ტვინი უტვინოთა.** საქართველოს დამსახურებული მხატვრის **მურთაზ აბაშიძის** კარიკატურა.

ავტორის პირადი არქივიდან.

**მოჰყოლია რეალური შედეგი და სამართალდამცავი ორგანოებისათვის დღემდე ხმად მღალადებლისად რჩება.** ეტყობა, ამის შედეგიც არის, რომ დღემდე ვერავინ გამაგებინა, თუ 14 200 სხვა ჩემს თანაქალაქელთან ერთად რატომ მახდევინებენ 100 ლარს იმ მრიცხველში, რომელიც 7 800 ინდივიდუალური სახლის პატრონს სრულიად უფასოდ დაუმონტაჟეს?

ცნობისათვის: აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ არავისზე უკეთესი პირობები არა გვაქვს. ჩემს ორსულიან ოჯახში ვცხოვრობთ ცოლ-ქმარი, საკმაოდ ხანდაზმული პენსიონერები, რომლებსაც პენსია გაცილებით ნაკლები გვაქვს, ვიდრე საარსებო მინიმუმია.

ამ უსამართლობის შემყურეს თვალი ძველი აღთქმისაკენ გამირბის:

**„ნუ იპოვების ჭურჭელსა შენსა შორის სასწორი ერთი დიდი და ერთი კნინი, რამეთუ ბილწ არს წინაშე ღმრთისა შენისა“** გვმოძღვრავს „მეორე რჯული“.

ვაგლახ რომ, ღვთის სიტყვა არავის ესმის იმათგან, ვინც **„ბილწ არს წინაშე ღმრთისა“.**

თავად განსაჯეთ: ელექტროენერგიის ტარიფი „სემეკმა“ სამსაფეხუროვანი დააწესა და 100 კილოვატის ზემოთ გადასახადი შესაბამისი პროპორციით იზრდება. **წყლის ტარიფს კი სხვა საწყაო მოუძებნეს — ნაკლებს თუ მოიხმართ, ორმაგად გადაიხდითო.**

ხომ კარგი ლოგიკაა?

**და აქ ერთი წიაღსვლა. ძალაუნებურად მახსენდება, რომ „სემეკში“ ზუსტად ისე ხდება, როგორც თათქარიძეანთ ოჯახში. გახსოვთ, ალბათ, ლუარსაბმა ჭერს მიაბჯინა თვალები და ბუზების თვლა დაიწყო, მაგრამ ვერადა, ვერ გაარკვია, 40 ბუზი თუ არ გაფრენილა, ჭერზე 50 როგორ აღმოჩნდა?**

**წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაციის დაწყებიდან დღემდე მინისტრიდან მოკიდებული ყველა გვიმტკიცებს, რომ საზღვარგარეთული ტექნიკის დანერგვით ელექტროენერგიისა და მომსახურების ხარჯები მკვეთრად შემცირდა, ამასთან დანაკარგები 48 პროცენტიდან 27- მდე დავიდა.**

ძალიან მინდა, ამ ფიციმტკიცისა რაიმე ვიწამო, მაგრამ ორი მიზეზის გამო ვერ ვახერხებ. **ჯერ ერთი,** თუ დანახარჯები შემცირდა, წყალს ორჯერ რატომ გვიძვირებენ, **და, მეორეც:** არ მჯერა, ნამდვილად არ მჯერა, რომ დანაკარგები ასე მკვეთრად შემცირდა.

**რატომ?**

ეწვიეთ დახრამულ და წყლის ნაკადებით ეროზირებულ ჩემს ქუჩას, რომელიც უდროოდ წასული ნიჭიერი პოეტის ირაკლი ბაზაძის სახელს ატარებს და თქვენც ანალოგიური ეჭვი შეგიპყრობთ — **მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების დაწყებისთანავე ქუჩაში ისეთი „მდინარე“ მიედინება, რომ რიონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ წყალუხვობით წყალწითელას ნამდვილად არ ჩამორჩება.** ასეთი მდინარე კი, სხვა უბნებს რომ თავი დავანებოთ, საფიჩხიაზეც მრავალია. ჰოდა, ეტყობა ტარიფი იმიტომ გაგვიზარდეს, რომ წყალმომარაგების ქუთაისის სერვის-ცენტრმა ეს დანაკარგი მოსახლეობის ხარჯზე დაფაროს.

სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამაც გაგვწირა და იმ ბაყბაყდევის, ანუ იმ ერთადერთი მონოპოლისტის ხელში ჩაგვაგდო, რომელიც საქართველოს წყლის სათავეს დაეპატრონა, რათა უმუშევრობითა და შიმშილით განაწამები მოსახლეობა ამჯერად წყურვილითაც დაახრჩოს.

ღმერთმა ნუ ქნას, ხალხის მოთმინების ძაფი გაწყდეს, თორემ:

**წყურვილით და შიმშილით თუ დაიბინდა გონება, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი ხდებიან შთამაგონებლად, რევოლუციის დროშები როგორ აღმართონ მონებმა.**

**ეს კი ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანის დაღუპვაა და, მოდით, მამაზეციერს შევთხოვოთ, რომ არასდროს მოხდეს, თორემ მხოლოდ ქუთაისისათვის კი არა, სრულიად საქართველოსათვის ცუდად, ძალიან ცუდად დამთავრდება ამბავი წყლისა და წყალწაღებულებისა.**

**ალექსანდრე შენგელია.**
ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

## ◉ მწარე რეალობა

# დაზღვეული

გუშინ ვერის ბაღში ნაცნობ პენსიონერს გადავეყარე. მზიანი ამინდი იდგა, ქარიც აღარ უბერავდა, სკამზე ჩამოვსხედით და გემრიელად ვიჭუკჭუკეთ.

— ბესო, — ვეუბნები, — თვალი არ გეცეს და შენი ასაკის პირობაზე მშვენივრად გამოიყურები. გეტყობა, თავის მოვლა იცი.

— ჰო, ოჯახის ექიმმაც შეამჩნია, ვერაფრით ვიფიქრებდი ოთხმოცი წლისა თუ იქნებოდიო. მერე ისიც დაამატა, ჯანმრთელი გენური მემკვიდრეობა ძალიან ბევრს ნიშნავსო.

— ყოჩაღ შენა, — შევაქე, — ოჯახის ექიმი თუ გყავს, ძმაო, რატომაც არ იქნები მაგრად.

— ოჯახისა კი არა და, — ხელები მოიფშვნიტა ბესომ, — ასე ეძახიან, თორემ ეგ რომ ნამდვილად ერქვას, ერთხელ მაინც ხომ უნდა იყოს ნამყოფი ჩემს ოჯახში. აბა ჰკითხე, სხვა თუ არაფერი, ის მაინც თუ იცის, რამდენი სულისგან შედგება ჩემი ოჯახი?

— აბა რატომ ეძახიან ოჯახის ექიმს?

— მოსაჩვენებლად და დაზღვეულთა გულის საამებლად, თორემ ჩვეულებრივი მკურნალი ექიმია, რომელთან შესვლასაც თუ მოისურვებ, ერთი კვირით ადრე უნდა ჩაეწერო ან ცოცხალ რიგში ჩადგე და საათობით ელოდო.

— შენ რა, დაზღვეული ხარ?

— აბა როგორ, — ტუჩებში ეღიმება ბესოს, — სხვანაირად ოჯახის ექიმს ვინ დამინიშნავდა?

— შენ დაზღვეული მაინცა ხარ და მე რომ ეგეც არა ვარ?

— აი სექტემბრიდან შენც დაგაზღვევენ და მერე დააგემოვნებ ამ სიამტკბილობის ნექტარს.

— ბესო, ერთი ეგ მითხარი, დაზღვევაში ფული გადაიხადე?

— არა, ქალაქის მერიამ სადაზღვევო პოლისი უფასოდ მომცა.

— კაცო, უფასოდ გმკურნალობენ და კიდევ უმადური ხარ?

— პოლისი რომ მომცეს, მაგისთვის, რა თქმა უნდა, დიდად მადლობელი ვარ, მაგრამ რაც შიგ წერია, კლინიკაში ყველაფერ იმას რომ არ გისრულებენ?

— აი, მაგალითად, რა არ შეგისრულეს?

— პოლისში, რომლითაც მე დაზღვეული ვარ, ჩაწერილია, რომ ამბულატორული მომსახურება, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები უფასოა, კლინიკაში კი პროთრომბინისა და ქოლესტერინის ანალიზის გაკეთებაში ფული მოითხოვეს.

— განა რამდენი ჯდებოდა?

— 50 ლარამდე. პენსიონერისთვის, რომელიც მთელი თვე 110 ლარის მოლოდინშია, განა 50 ლარი იოლი გადასახდელია? ამის მერე როგორ დავიჯერო, რომ 15000 ლარის ღირებულების გეგმიურ ქირურგიულ მომსახურებას, თუკი დამჭირდა, უფასოდ გამიწევენ?!

— წამლებზე თუ არის რაიმე შეღავათი?

— კი, როგორ არა, პოლისში აღნიშნულია, რომ 50 ლარის მედიკამენტების 50 პროცენტს იხდის თავად მზღვეველი.

— მაგდენს მაინც თუ გეხმარება, კიდევ არაუშავს.

— მაგრამ თუ ამასაც დახმარება ჰქვია? მზღვეველი იხდის იმ წამლების საფასურის ნახევარს, რომლებსაც თავად არჩევს და არა იმისას, რომლებიც მე მჭირდება სამკურნალოდ. ეს ხომ ნონსენსია, ექიმმა უნდა დამინიშნოს არა ის წამალი, რომელიც მე გამკურნავს, არამედ ის, რომელიც სადაზღვევო კომპანიის კომერციულ ინტერესებს აკმაყოფილებს(!)ძ.

— გამოდის, რომ შეღავათით ვერ სარგებლობთ?

— ვერა, რა თქმა უნდა. აი, მაგალითად, ექიმმა არტერიული წნევის სამკურნალოდ დამინიშნა „ლოზაპ პლუსი“ და „კორინფარ რეტარდი“, რომლებიც მზღვეველის ჩამო-

# არჩილ ხომასურიძე: მიფეპრისტონი რეპროდუქტოლოგიის ახალი ეტაპია

## როგორ მშობიარობენ ქალები სწრაფად და უმტკივნეულოდ და რატომ არ მოსწონს ეს მეთოდი ზოგიერთ ქართველ გინეკოლოგს?

**შარშან ნოემბერში ავსტრალიაში ჩატარებული რეპროდუქტოლოგთა აკადემიის საერთაშორისო კონგრესი მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორისთვის. პროფესორი არჩილ ხომასურიძე ამ კონგრესზე მიწვეული ლექტორის სტატუსით იმყოფებოდა. კონგრესის შემდეგ მან შვებულება აიღო და ამჯერად საკუთარი ხარჯებით კვლავ ახალგაზრდა კონტინენტის გაცნობა გააგრძელა და იქ თითქმის ერთი თვე დაჰყო. იქ ნანახსა და განცდილზე ბატონი არჩილი უემოციოდ ვერ გვიყვება:**

— სანამ კონგრესის დეტალებზე მოგიყვებოდეთ, — ამბობს იგი, — მინდა, ავსტრალიაზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა. მართალია, ამ კონტინენტზე უკვე მეექვსედ ვიყავი, მაგრამ ამჯერად ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ვარჩიე მოგზაურობა, სადაც გაცილებით ექსტრემალური სიტუაციებია: კენგურუები, ნიანგები, ხვლიკები, ობობები... შემეცნებითი თვალსაზრისით მართლაც ძალიან ბევრი რამ ვნახე. სრულიად განსხვავებული სამყაროა, არაჩვეულებრივი ეკოლოგიური პირობებით, ცხოვრების მაღალი დონით, განვითარებული ინფრასტრუქტურით, რასაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ეგზოტიკა.

**— ამის მიუხედავად, ქართველ მოგზაურობის მოყვარულთათვის მიმზიდველი უფრო ევროპაა...**

— სწორედ იმიტომაც წავედი ავსტრალიაში, რომ ეს დამკვიდრებული „ტრადიცია“ დამერღვია. სამხრეთ ავსტრალიის კლიმატური პირობები ძალიან წააგავს დასავლეთ საქართველოსას. 7 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე სულ რაღაც 16 მილიონი მოსახლეობაა. კონტინენტის 90 პროცენტი უდაბნოა, დაუსახლებელია. ავსტრალიის გარშემო 25 ათასკილომეტრიანი ავტოტრასაა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ბრწყინვალე სანაპიროა, მაგრამ, რად გინდა, 5 თვის განმავლობაში, მთელი ზაფხული, ვერ იბანავებ, რადგან ზღვაში შხამიანი მედუზები დაცურავენ. საშიშნი არიან ნაპირზე ბინადარი ნიანგებიც. ხანდახან საბანაო ადგილებს ზვიგენებიც სტუმრობენ ხოლმე... მოსახლეობის 0,2 პროცენტს შეადგენენ აბორიგენები. იქ ძირითადად ანგლოსაქსები ცხოვრობენ, მერე — იტალიელები და გერმანელები. ბევრია ჩასული რუსეთიდან და უკრაინიდან. არიან ჩვენებურებიც, თუმცა მე მათ ვერ შევხვდი... მოკლედ, ვურჩევდი ჩემ კოლეგებს და სხვებსაც, რომ ღირს ამ ქვეყნის სტუმრობა. დისციპლინა, დაცულობა, სილამაზე — ეს ყველაფერი გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

**— ბატონო არჩილ, გეტყობათ, მოხიბლული ბრძანდებით. თუმცა რეპროდუქტოლოგთა აკადემიის საერთაშორისო კონგრესის ჩასატარებლად იქაურობა, ალბათ, ეგზოტიკური თვალსაზრისით არ შეურჩევიათ, არა?**

— ნამდვილად, არა. კონტინენტი შეირჩა თემატურად. ზოგადად უნდა გითხრათ, რომ მაინც და მაინც დიდი ენთუზიაზმით არ ვმონაწილეობ ხოლმე სამედიცინო კონფერენციებსა თუ კონგრესებში, რადგან ბოლო დროს, თანდათანობით კარგავენ აქტუალურობას... არა აქვთ თეორიულ-პრაქტიკული თუ გამოყენებითი დანიშნულება. ასე ვთქვათ, ღირსება დაკარგეს... ეს არის ერთგვარი გასეირნება. რაც შეეხება რეპროდუქტოლოგთა აკადემიას, საყურადღებო იმით არის, რომ მასში გაერთიანებულია მსოფლიოს წამყვანი 46 რეპროდუქტოლოგი. შესაბამისად, კონგრესიც, შემეცნებითი თვალსაზრისით, ძალიან დატვირთული იყო. 1000-მდე ექიმი მონაწილეობდა. კონტინგენტი მაღალი მეცნიერული დონისაა. კარგად არის შერჩეული გამოსვლების ფორმატი და თეორიული მხარე. კონგრესი ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ რეგიონალურად, ხან — ევროპაში, ხან — აზიაში, აფრიკასა თუ ამერიკაში... ვინაიდან რეპროდუქტოლოგია ტურბულენტურად ვითარდება, ყოველდღე საქმის კურსში ყოფნა აუცილებელია და კონგრესიც იმისთვის ტარდება, რომ ადგილობრივ მაღალი დონის ექიმებს მიაწოდონ უახლესი ინფორმაცია.



**— თქვენ მიწვეული იყავით, როგორც საპატიო დელეგატი...**

— დიახ, ჩემი ხარჯები სრულად დააფინანსეს. ასეთი სულ 19 ექიმი ვიყავით. ჩემდა მოულოდნელად, კონგრესისთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემი შერჩეული თემა — არც თუ ისე ცნობილი პრეპარატი: მიფეპრისტონი.

**— ოო... ამ წამლის ბევრი სიკეთე საკუთარ თავზე გამოვსცადე. რა თქმა უნდა, თქვენი რეკომენდაციით, ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს...**

— როგორც თქვენ, ასევე 600-მდე ნამშობიარევი სხვა ქალბატონიც უაღრესად კმაყოფილია, განსაკუთრებით მეორე მშობიარობის დროს... ამ პრეპარატის დახმარებით ბავშვის გაჩენის პროცესი სწრაფი და თითქმის უმტკივნეულოა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს თემა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მსმენელისთვის. ჩემი მოხსენების პარალელურად ორი აკადემიკოსის ლექცია დაიგეგმა, ამიტომ ვფიქრობდი, მსმენელი არ მეყოლებოდა, მაგრამ პირიქით, აუდიტორია გაივსო, ხალხი ფეხზე იდგა. აღმოჩნდა, რომ ჩემა თემა მეანობაში პრიორიტეტია და აპლოდისმენტებიც დავიმსახურე.

**— თქვენი უცხოელი კოლეგები კი დააინტერესეთ, მაგრამ რაც შეეხება ქართველ ექიმებს, მათ მაინცდამაინც დიდად არ მოსწონთ ეს პრეპარატი. როცა გინეკოლოგს ვუთხარი, რომ მიფეპრისტონი მქონდა მიღებული, დიდად არ ესიამოვნა. რა საჭირო იყოო? — მკითხა.**

— მიფეპრისტონი მე არ გამომიგონია...

**— მაგრამ თქვენ ეწევით მის აქტიურ პოპულარიზაციას...**

— თავიდან ფრანგმა მეცნიერებმა ის ხელოვნური აბორტისთვის შექმნეს. ეს იყო მეოცე საუკუნის 80-იანი წლები. მოგეხსენებათ, მედიკამენტური აბორტი არის ქირურგიული აბორტის ალტერნატივა, ადრეული ვადის ორსულობის შეწყვეტის ერთ-ერთი თანამედროვე და ეფექტური მეთოდი. მიფეპრისტონი მე ჩამოვიტანე საბჭოთა კავშირში და იმთავითვე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. მირეკავდნენ „აბორტმახერები“ და მემუქრებოდნენ. ჩამიწყვეს და ბიუროზეც კი გამიყვანეს, ჩემი მოხსნა უნდოდათ, მაგრამ გადავრჩი... მიფეპრისტონი საქართველოში 2002 წლიდან არის რეგისტრირებული. პრეპარატი, როგორც მედიკამენტური აბორტის საშუალება, 40-მდე ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება.

**— მოსახლეობაში თანდათან ინერგება კონტრაცეპტივების მოხმარების აუცილებლობა. ამ ფონზე მაინც აქტუალურია აბორტი?**

— რა თქმა უნდა, თუმცა თუ 1987 წელს აღნიშნული იყო 300 ათასი აბორტი, აქედან 200 ათასი არალეგალურად გაკეთებული, დღეს ეს რიცხვი 10-ჯერ ნაკლებია. მაშინ კონტრაცეფცია ნულის ტოლი იყო და მისი დანერგვაც ჟორდანიას ინსტიტუტის დამსახურებაა. თუკი მაშინ ყველა ქალი თავის რეპროდუქციულ ფუნქციას მხოლოდ აბორტით აწესრიგებდა, ახლა 60 პროცენტი კონტრაცეფტივებს მოიხმარს. იყო პერიოდი, როცა რეპროდუქტოლოგიაში უშვილობა აღარავის აინტერესებდა, რადგან გაქანებული ბრძოლა მიმდინარეობდა აბორტთან... დღეს ქალთა უდიდესმა ნაწილმა გაიგო, რომ აბორტი ცუდია, ხოლო კონტრაცეფცია უმჯობესია.

**— თუმცა სხვა დამოკიდებულება აქვს სამღვდელოებას — აბორტიც და კონტრაცეფტივიც ორივე ცოდვააო...**

— კონტრაცეფტივი ნაკლები ცოდვაა. ამაზე ხშირად ვმსჯელობ სასულიერო პირებთან. აბორტი რეალობაა, ამას ვერ გავექცევით — თუკი ქალს გადაწყვეტილი აქვს ნაყოფის მოცილება, ტყუილია, მას გინეკოლოგი ვერ გადააფიქრებინებს. ვინც ფიქრობს, რომ საერთოდ უნდა აიკრძალოს აბორტი, მით უარესი, ამას არალეგალური გზებით მაინც მოახერხებენ. ეს კი ჯანმრთელობისთვის საზიანოა, სიკვდილიანობაც გაიზრდება.

თუ ვინმეს ეზიზღება აბორტი, ეს ჩვენ, გინეკოლოგებს გვზარავს, რადგან კარგად ვიცით, რა დამანგრეველი ძალა აქვს მას ჯანმრთელობისთვის, რა ბარბაროსობაა, მაგრამ თუ ვინმეს რამე გაუკეთებია ამის აღმოსაფხვრელად, ეს ჟორდანიას ინსტიტუტის დამსახურებაა...

**— რაშიც სწორედ მიფეპრისტონი გეხმარებათ. მაგრამ მშობიარობის დროს მისი გამოყენება — ეს უკვე თქვენი აღმოჩენაა, არა?**

— დიახ, ეს უკვე ახალი ეტაპია. მიფეპრისტონი არის ანტიპროგესტერონი (პროგესტერონი — ეს არის ორსულობის ჰორმონი). მიფეპრისტონი აჩერებს ყველაფერს, რაც ორსულობასთან არის დაკავშირებული. მშობიარობისთვის ეს არის დამხმარე საშუალება. ამის შესახებ კვლევა ჩატარდა ბათუმის სამშობიაროში, ჩემი კოლეგის ჯუმბერ უნგიაძის მეთვალყურეობით. ექთნები მეუბნებიან, სამშობიარო სანატორიუმს დაემსგავსა, რადგან ქალები მშვიდად მშობიარობენო. სამწუხაროდ, სანამ ჩვენს გამოკვლევებს გამოვაქვეყნებდით, შვედმა კოლეგამ დაგვასწრო და საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებას თავისი ნაშრომი წარუდგინა, თუმცა მუშაობას ვაგრძელებთ... სწორედ ამ შეგროვებული მასალით წარვსდექი კონგრესზე.

**— და მაინც, რატომ იწუნებენ თქვენი ქართველი კოლეგები თქვენს აღმოჩენას?**

— გაუთვითცნობიერებლობის ბრალია... მეორეც, ჩვენთან ზოგიერთებს არ უნდათ, მიიღონ თანამედროვე ინფორმაცია... ყველაფერი დროის საკითხია. როცა ჩვენი დაკვირვების შესახებ მოვყევი კონგრესზე, კოლეგები ძალიან დაინტერესდნენ. სხვათა შორის, თუ საქართველოს რეპროდუქტოლოგთა ასოციაცია დააყენებს რამე პრობლემას, სადაც აქცენტი ჩვენს ინტერესებზე გაკეთდება, შეიძლება კონგრესი საქართველოშიც ჩატარდეს... უკვე ცნობილია, რომ მომავალი კონგრესი 2013 წლის მარტში, ვენეციაში გაიმართება.

**— გმადლობთ!**

ესაუბრა
**თეა მოსია**

---

◉ მწარე რეალობა

# დაუზღვეველები

ნათვალში არ არის. იაფი მაინც იყოს, ხომ იცი, წამლებს აფთიაქებში რა ცეცხლის ფასი ადევს.

— ბესო, მაგ ჩამონათვალში უროლოგიური სამკურნალო პრეპარატები თუ არის შეტანილი?

— მაგ წამლებით მეც დავინტერესდი და ექიმს ვთხოვე შეღავათიან ფასში „ომნიკ ოკასი“ გამოეწერა.

— მერე რა გითხრა?

— გაეცინა, მაგ წამალს ფასდაკლებით ვინ მოგცემს, ერთი 30-აბიანი კოლოფი 62 ლარი ღირსო. ვიცი რამდენიც ღირს, მე ხომ ყოველთვიურად ვიხდი მაგ თანხას, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არა მაქვს? კიდევ კარგი იმ საძრახის კომუნისტურ ხანაში რაღაც დანაზოგი დავაგროვე, თორემ ახლა ან უწამლობა მომკლავდა ან შიმშილი.

— კაცო, შენც ადექი და ეგ რაღაც „ომნიკ ოკასია“ კონკურენტულ აფთიაქ „ფარმადეპოში“ იყიდე, როგორც ვიცი, იქ მედიკამენტებს 25-30 პროცენტის ფასდაკლებით ჰყიდიან.

— ვიყავი, „ფარმადეპოსაც“ მივაკითხე, მაგრამ იქაც ამავე ფასში ჰყიდიან. ადრე მართლაც იძლეოდნენ ამ წამალს ფასდაკლებით, მაგრამ ბოლოს ერთბაშად მთელი 20 ლარით გააძვირეს. ვითომ არ იცოდე, რა მამაძაღლებიც არიან, ჩვენ გვაბოლებენ, კონკურენტები ვართო, სინამდვილეში კი ერთმანეთს ფასების მომატებაში ეჯიბრებიან.

— კიდევ არის რაღაც აფთიაქები, რომლებიც იაფი მედიკამენტებით იწონებენ თავს.

— არ დაიჯერო, ეგენი ყველანი ერთმანეთის კონკურენტები კი არა, ფაქტობრივად, მონოპოლისტები არიან, რომლებმაც ნახეს უპატრონო ქვეყანა და გადახდისუუნარო ხალხს ჯიბიდან უკანასკნელ გროშებს გვაცლიან. სახელები აქვთ აფთიაქებს სხვადასხვა, ზოგს „პეესპე“ ჰქვია, ზოგს „ავერსი“, ზოგსაც — „ფარმაცევტული სახლი“ და „სითი ფარმა“, თორემ წამლების ფასი ყველა მათგანში გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს.

— ნუ გეშინია, — ვამხნევებ ბესოს, — მთავარია პრეზიდენტი ჯანზე გვყავდეს, თორემ მაგის ხელში არაფერი გაგვიჭირდება. ხო ნახე ამას წინათ როგორი მსუქანი დაპირება მოგვცა — ცოტაც გაძელით და სექტემბრიდან პენსიებსაც მოგიმატებთ და ფასდაკლებით გასაცემი წამლების თანხასაც 200 ლარამდე გავზრდიო.

— სააკაშვილი ადრეც, პენსიას 10 ლარი რომ წაუმატა და 100 ლარისა იბაქიბუქა, კი დაგვპირდა პენსიონერებს, ჩემი იმედი გქონდეთო, მაგრამ მისი ნათქვამისა ვითომ დაიჯერება რამე? მან ადრეც რამდენჯერ დაიქადნა, პენსიებს 100 დოლარამდე გავზრდიო, მაგრამ აბა ჰკითხე, კიდევ ახსოვს? რაც შეეხება ფასდაკლებული წამლების ჩამონათვალს, ნაღდად ვიცი, მასში ისევ იმ მედიკამენტებს შეიტანენ, რომლებიც სამკურნალოდ ნაკლებად ეფექტურია, მზღვეველთა კომერციაზე კი — ზედმეტად მორგებული.

— კიდევ რის იმედად შეიძლება ვიყოთ? — ბოლო კითხვა დავუსვი პენსიონერს.

— არჩევნების იმედად. საოქტომბრო არჩევნებისათვის მზადებას ხელისუფლების მხრიდან რომ მონოპოლისტებზე ახალი ხარკის შეწერა და ამას, შესაბამისად, სასურსათო და ფარმაცევტულ ბაზარზე ფასების მორიგი ზრდა მოყვება, ამის იმედი ნამდვილად უნდა ვიქონიოთ.

აი ასე ტკბილად ვიჭუკჭუკეთ მე და ჩემმა ნაცნობმა პენსიონერმა იმ მწარე ყოფაზე, რომლითაც მიშნაცებმა პენსიონერები (და არა მარტო პენსიონერები) უკანასკნელ წლებში დაგვასაჩუქრეს.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ რას წერენ ჩვენზე

# პუტინის ძალაუფლება: დექავიუ კავკასიისთვის

**სხვა რაღა უნდა ითქვას რუსულ გაზაფხულზე: „ასიმეტრიული“ საარჩევნო კამპანია, ჭორები ბოტოქსის შესახებ, პატარა საარჩევნო მაგია და აი, ვლადიმერ პუტინი ისევ კრემლის ბოსია. პუტინი გამარჯვებას დიდწილად კავკასიას უნდა უმადლოდეს და აი ახლა ის მილოცვებს იმ ქვეყნებიდან და ტერიტორიებიდან იღებს, რომლებიც რუსეთს ეკუთვნიან, რუსეთის მიერაა დაპყრობილი, ან რუსეთით არიან შეპყრობილი.**

ჯერ ჩრდილოეთზე შევჩერდეთ, სადაც ცეცხლოვანმა ძლიერმა კაცმა რამზან კადიროვმა, თავისი პატრონის მხარდასაჭერად საარჩევნო უბანთან იცეკვა კიდეც. ჩეჩნურმა ჩა-ჩა-ჩამ, როგორც ჩანს, იმუშავა. წინასწარი მონაცემებით, პუტინმა რუსეთის ფედერალურ საზღვრებში ყველაზე მეტი ხმა ხისტად მართულ ჩეჩნეთში მიიღო და ყველაზე ნაკლები – სკეპტიკურად განწყობილ მოსკოვში.

სამხრეთ კავკასიის სამხრეთ ქედზე, სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც რუსეთს საიმედოდ ჰყავს მოქცეული საკუთარ მარწუხებში, დარეგისტრირებული რუსი ამომრჩევლების 90 პროცენტმა ხმა პუტინს მისცა. ამ ტერიტორიების სეპარატისტ მმართველებს, რომლებიც ეგზისტენციალურად არიან დამოკიდებული მოსკოვზე, ცეკვა არ გაუმართავთ, მაგრამ ხმა პუტინს მისცეს და თავის ელექტორატსაც იგივე ნაბიჯისკენ მოუწოდეს.

სეპარატისტული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა, რომელიც თავისი ჩეჩენი კოლეგისგან განსხვავებით აცხადებს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მართავს (თუმცა ჯიბეში რუსული პასპორტი უდევსძ, თქვა, რომ მისთვის ბედნიერებაა ვლადიმერ ვლადიმეროვიჩისთვის ხმის მიცემა.

რაც შეეხება არასადავო ქვეყნებს, ყველაზე მეტად პუტინის დაბრუნებით სომხეთმა გაიხარა, სომხეთმა, რომელიც რუსეთისგან დიდძალ პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას იღებს. მოიწონა რა პუტინის გამარჯვება, პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანცმა დაწერა, რომ მოუთმენლად ელის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, ანუ უფრო მეტ ფულს მომდევნო წლებში. მან აგრეთვე, როდესმე ახლო მომავალში, პუტინი სომხეთში მიიწვია.

რუსეთისადმი ნაკლებად მეგობრულად განწყობილი ქვეყნის აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საბაზისო პროტოკოლურ წესებს დიდად არ გადაუხვია და მილოცვისას რუს კოლეგას წარმატება და ჯანმრთელობა უსურვა. აგრეთვე იმედი გამოთქვა, რომ მათი ტრანსმთიანი მეგობრობა გაღრმავდება.

გასაოცარი არ არის, რომ პუტინს საქართველოდან სასიყვარულო ბარათები არ მისვლია, საქართველოდან, რომელიც პუტინმა საარჩევნო კამპანიისას არაერთხელ გამოიყენა საფრთხობელად. მართალია, თბილისმა გააუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ცხადყო, რომ მას პუტინი ნებისმიერ სტატუსში სძაგს – როგორც პრემიერ-მინისტრის, ასევე პრეზიდენტის რანგში. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ 5 მარტს განაცხადა, რომ საქართველოს არ გააჩნია არავითარი ილუზია რუსეთში დემოკრატიის წინსვლასთან ან თბილისსა და მოსკოვს შორის კავშირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

თუ ეს განცხადებები, მილოცვები და საარჩევნო შედეგები რაიმეს გვეუბნება, გვეუბნება იმას, რომ პუტინის მმართველობის (სულ ცოტაძ მომავალი ექვსი წლის განმავლობაში კავკასიის ქედის ორივე მხარეს ბევრი არაფერი შეიცვლება.

EURASIANET

# ალა ჯიოევა როგორც რუსული რევოლუციის სარკე

## ვინც უნდა გაიმარჯვოს სამხრეთ ოსეთში, წააგებს რუსეთი

**25 მარტს სამხრეთ ოსეთში გაიმართება პრეზიდენტის განმეორებითი არჩევნები. ოპოზიცია მასზე დაშვებული არ არის. ოთხივე დარეგისტრირებული კანდიდატი განისაზღვრა კრემლსა და სამხრეთი ოსეთის ექსპრეზიდენტ ედუარდ კოკოითს შორის შეთანხმების გზით. ნოემბრის არჩევნების გამარჯვებული ალა ჯიოევა ძველებურად რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება დაცვის ქვეშ – მისი იქ ყოფნა სულ უფრო გვაგონებს დაპატიმრებას.**

ზოგიერთი მონაცემებით, მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ხელისუფლების ძალადობის გზით ხელში ჩაგდების ბრალდებით. შეგახსენებთ, რომ ჯიოევა რეანიმაციაში მოხვდა მას შემდეგ, რაც მისი შტაბი მის მიერ გამოცხადებული ინაუგურაციის წინა დღით იერიშით აიღეს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებმა.

მაქსი-შოუმ, რომელიც სამხრეთი ოსეთის ძალოვნებმა ჯიოევას შტაბში მოაწყვეს, რუსეთის საექსპერტო გაერთიანება შოკში ჩააგდო. ცოტა გონს რომ მოეგნენ, წინასწარ ჩაწერილი კომენტატორები და ანალიტიკური ცნობებისა და რეკომენდაციების შემთხზველები მოვლენათა თავისებურ შეფასებაში დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, რაც ერთმა დედაქალაქელმა პოლიტოლოგმა ასე ჩამოაყალიბა: „იდიოტები არიან თუ მტრები?“

სწორედ ასე ეწოდა სტატიას, რომლის ავტორიც ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რომელ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ასეთი ეფექტიანი ოპერაციის ავტორები. საექსპერტო გაერთიანება ორად გაითიშა. ზოგიერთებს მიაჩნდათ, რომ ასეთი რამ შეეძლოთ განეხორციელებინათ მხოლოდ სრულ იდიოტებს, მეორენი, რომ ეს სახელმწიფოს მტრებმა ჩაიდინეს. მაგრამ, თუ ისინი მტრები იყვნენ, იყვნენ „სისტემური მტრები“, ესე იგი, თვით რუსეთის ხელისუფლებაში ღრმად ჩანერგილები. და ამიტომ მოვლენები სამხრეთ ოსეთში ჩვენ პირდაპირ შეგვეხება, ვინაიდან გვიჩვენებენ, თუ მოქმედი „ვერტიკალი“ როგორ მუშაობს რუსეთის სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების წინააღმდეგ.

თუ ჯერ კიდევ ვინმე ეზღაუჭება გადამრჩენ აზრს, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდა „ექსპრეს შემსრულებლებს“ და გადაწყვეტილება შტაბის ბარბაროსული იერიშის შესახებ (ფანჯრებისა და კარების ჩამტვრევითძ მაინც მიიღეს არა მოსკოვში, მაშინ უკანასკნელი ილუზიები წაგვართვა „კრემლის კაცმა“, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვადიმ ბროვცევმა. მოვლენების უმალვე ის გამოვიდა განცხადებით, რომელშიც იკისრა მთელი პასუხისმგებლობა „რესპუბლიკაში ანტიკონსტიტუციური გადატრიალების მცდელობის აღსაკვეთად“. ამით მან საჯაროდ მოაწერა ხელი ძალოვანების მოქმედებებთან უშუალო მონაწილეობას. და თუ სწორია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ დროს ცხინვალში იმყოფებოდნენ კრემლის სამხრეთი ოსეთის „კურატორები“ (კერძოდ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები ვლადისლავ გასუნიანოვი და სერგეი ჩებოტარიოვიძ, მაშინ ცხადია, რომ ვერც ბროვცევი, ვერც სახელმწიფო დაცვის მებრძოლები მათი სანქციის გარეშე კატასაც კი არ გამოაგდებდნენ გარეთ, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯიოევაზე.

ცხინვალში მოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე პრეზიდენტობის კანდიდატად რუსეთში სამხრეთი ოსეთის ელჩი დმიტრი მედოევი დაასახელეს. არსებობს აზრი, რომ სწორედ ის არის ამჟამად დანიშნული „კრემლის კანდიდატად“ იმედების გაუმართლებელი ანატოლი ბიბილოვის სანაცვლოდ. მედოევის დასახელებასთან ერთდროულად ბიბილოვმა, რომელიც ყველა თავის ნაბიჯს მოსკოვს უთანხმებს, გააკეთა განცხადება საპრეზიდენტო რბოლიდან გამოსვლის შესახებ. თუმცა ყველაფერი არც ასე ერთმნიშვნელოვნადაა. მედოევის გარდა პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ კომპარტიის ლიდერი სტანისლავ კოჩიევი, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი ლეონიდ თიბილოვი და პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ადამიანის უფლებების საკითხში დავიდ სანაკოევი. 2006 წელს ბიბილოვი უკვე კენჭს იყრიდა პრეზიდენტად, გამოდიოდა „ტექნიკურ“ კანდიდატად კოკოითის დროს და ხმების 0,9 პროცენტი მოაგროვა. ექსპრეზიდენტ კოკოითისთვის, ეტყობა, ყველაზე უფრო მისაღებია სანაკოევი: როდესაც ომბუდსმენად მუშაობდა, ის ყოველთვის ავლენდა ლოიალობასა და სხვისგან მართულობას. კრემლისთვის სანაკოევიც ხელსაყრელია. რაც შეეხება კომუნისტების ლიდერს, მისი შანსები დიდი როდია. ალბათ, მისი როლი, პოლიტტექნოლოგების აზრით, მოსახლეობის მიზიდვაა: სამხრეთი ოსეთის მცხოვრებთა უმრავლესობა ხანდაზმული ადამიანები არიან, რომლებიც ტრადიციულად სიმპათიას კომუნისტებს მიაგებენ.

ცხადია, რომ აქცია ჯიოევას წინააღმდეგ მოეწყო „ველის გასუფთავების“ ფარგლებში არჩევნების წინ, რომლის ლეგიტიმურობასაც ეჭვქვეშ დააყენებდა მისი ინაუგურაცია.

„წმენდის“ მასშტაბები, რომლებიც შეეხო არა მხოლოდ ცხინვალს, არამედ ვლადიკავკაზსაც და მოსკოვსაც, მეტყველებენ იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთში ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში შემოდის „მესამე ძალა“ – მოსკოვის რვაფეხა“, ასე უწოდებენ სამხრეთ ოსეთში მოსკოვის თოჯინათმცოდნეობის გუნდს. ამ რვაფეხას შეუძლია ყველაფერი: მოაწყოს თვალთვალი ჯიოევაზე მოსკოვში მისი ყოფნის დროს, გაგზავნოს სპეცდანის მებრძოლები, გაჩხრიკოს ოსი ოპოზიციონერების ბინები, შემოაბრუნოს ჰაერში თვითმფრინავი მგზავრებით, რომელშიც რუსეთის მწვრთნელი თედეევი ყირიმის სანატორიუმში მიფრინავდა. ამას უნდა დავუმატოთ მცდელობა დაბლოკონ ინფორმაცია სამხრეთი ოსეთის შესახებ ფედერალური მასობრივი ინფორმაციის მთელ რიგ საშუალებებში. ცხადია, რომ საკითხი შეეხება არა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების დაცვას რვაფეხას მიერ, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის და ძალოვანი სტრუქტურების გამოყენებას ცალკეული ჩინოვნიკების „საკითხების გადასაწყვეტად“.




როგორი სიტუაცია შეიქმნება მარტში, ბოლომდე უცნობია, ნოემბერში კი სამხრეთ ოსეთში ერთმანეთს დაპირისპირებული იყო სამი მხარე. ხელისუფლების (კოკოითიძ და ოპოზიციის გარდა აქ იყო მესამე მოთამაშეც, რომელსაც ჩვეულებრივად მთლად ზუსტად არ უწოდებენ, როგორც „კრემლისას“. სინამდვილეში ეს იყო ჩინოვნიკების დაჯგუფება, რომელშიც შედიან რამდენიმე უწყების წარმომადგენლები. ზედაპირზე და თვალსაჩინოდ არიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მუშაობდნენ არჩევნებზე. ეს არის სერგეი ვინოკუროვი – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამმართველოს უფროსი უცხოეთის ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული ურთიერთობის საკითხში და მისი მოადგილე ვლადისლავ გასუმიანოვი – „კავკასიური მიმართულების“ კურატორი. ჩვენი წყაროების ინფორმაციით, მათი პარტნიორი სამხრეთი ოსეთის საქმეებში არის სამხრეთი ოსეთის თავდაცვის ექსმინისტრი ანდრეი ლაპტევი (მოსკოვში ის სხვა გვარით ცხოვრობსძ. ჩინოვნიკების ამ უწყებათაშორის დაჯგუფებაში შედიან აგრეთვე მთავრობის, უშიშროების საბჭოს და უშიშროების ფედერალური საბჭოს მაღალი რანგის ფუნქციონირები. ამ დაჯგუფების კაცია რესპუბლიკის ამჟამინდელი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ბროვცევი.

კოკოითის დაჯგუფება არსად წასვლას არ აპირებდა. მისთვის მომუშავე პოლიტტექნოლოგები ამუშავებენ ყოველგვარ სცენარს, რომელთა შორისაც იყო არჩევნების ჩაშლა. ხელში ჩამივარდა წერილი, რომელშიც წყარო სამხრეთი ოსეთიდან ინფორმაციას აწვდის მოსკოვს: „მიუხედავად დარწმუნებისა და ზეპირი გარანტიებისა... კოკოითი ცდილობს გაიყვანოს უმაღლეს პოსტზე თავისი კანდიდატურა. უახლოესი წრის ცნობით, კოკოითი თავისთვის ამუშავებს „ერის ლიდერის“ ვარიანტს... მთავარ პოსტზე თავისი კაცის გაყვანის შემდეგ ის აპირებს დაშალოს პარლამენტი და გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები 2012 წლის მარტში. არ არის გამორიცხული ვარიანტიც „არც ჩვენ, არც თქვენ“ – უწესრიგობათა პროვოცირება, საგანგებო მდგომარეობის შემოღება და არჩევნების ჩაშლა“.

არჩევნების წინ ველი გათავისუფლებული იქნა ძლიერი ოპოზიციური ფიგურებისგან და მოხდა ოპოზიციის დაგეგმილი შერწყმა მოწოდებით, ხმა მისცენ ბიბილოვს. მაგრამ თედეევი „გამოვიდა კონტროლიდან“, მხარი დაუჭირა ჯიოევას და კრემლის გეგმა სამარცხვინოდ ჩაიშალა.

არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიურ ფიასკოს თოჯინათმცოდნეები გადაეყრებიან 25 მარტსაც.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

## დედამიწის ზურგზე



**სარკოზს ბრალი დასდეს, რომ მან კადაფისგან აიღო 50 მილიონი ევრო წინასაარჩევნო კამპანიის დროს**

პირველი ცნობები იმის შესახებ, რომ მოამარ კადაფის რეჟიმი აფინანსებდა სარკოზის პირველ საპრეზიდენტო კამპანიას, გახმაურდა შარშან ლიბიის ლიდერის შვილის საიფ ალ-ისლამის მიერ. ის საფრანგეთის პრეზიდენტისგან ფულის დაბრუნებას მოითხოვდა. სარკოზი მიჩნეული იყო კადაფის წინააღმდეგ ომის აშკარა მომხრედ. ახალი არჩევნების წინ სარკოზი თავს იმართლებს.

* * *

**აშშ-მ ლავროვის შუამავლობით ირანს ულტიმატუმი გადასცა. რუსეთში უკვე მოემზადნენ ომისთვის**



იმის შესახებ, რომ ისრაელ-ამერიკის დარტყმა ირანზე განხორციელდება მიმდინარე წლის ბოლომდე, დარწმუნებით საუბრობენ რუსი დიპლომატებიც კი. გაეროს უშიშროების საბჭოს ამასწინანდელი სხდომისა და მის ველზე შეხვედრების შემდეგ დროებითი ჩარჩოები შევიწროვდა: ახლა ყველაფერი დამოკიდებულია თეირანში საერთაშორისო შუამავლების „ექვსიანთან“ მოლაპარაკების შედეგებზე, რაც აპრილისთვის არის დანიშნული.

* * *

**ავტობუსი ნორჩი ტურისტებით შვეიცარიაში ავარიაში მოყვა: დაიღუპა 22 ბავშვი და 6 მოზარდი**



სამშაბათ საღამოს ავტობუსი ნორჩი ბელგიელი ტურისტებით შეეჯახა გვირაბის კედელს ქალაქ სიერის მახლობლად. მძღოლმა ვერ შეძლო საჭის მართვა, დარტყმისგან მანქანა გადავარდა მახლობელი გაჩერებისკენ. ავტობუსში სულ 52 კაცი იყო: 12 წლის ბავშვები ბელგიაში სათხილამურო კურორტიდან ბრუნდებოდნენ.

* * *

**ნიუ ჯერსის შტატის დედაქალაქს „ტუალეტის კრიზისი“ ემუქრება – ჩინოვნიკები თვეების განმავლობაში დავობენ ქაღალდის შესყიდვის შესახებ**

ტრენტონის მერიაში ტუალეტის ქაღალდი 16 მარტისთვის დამთავრდება, დანარჩენ ქალაქებში კი დეფიციტი უფრო ადრე დადგება. მაგრამ ქალაქის საბჭო არ ჩქარობს დაამტკიცოს შეკვეთა 42,5 ათას დოლარზე, რაც მერმა ტონი მაკმა შეადგინა, რომელიც უკვე გამოააშკარავეს ტუალეტის ქაღალდის გაუმართლებლად დიდი შესყიდვების გამო (რედაქციისგან: ეჰ, ვის რა პრობლემები აწუხებს!).



# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 17 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული ობიექტიდან №10 სალიცენზიო ობიექტზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №10 სალიცენზიო ობიექტზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| [illegible] | | |
|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 1 | [illegible] | [illegible] |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

[illegible]

[illegible]

[illegible]

### მხატვრული ტანვარჯიში

# შმიდენური „ბრინჯაო“



**თოთხმეტი წლის თბილისელი მხატვრული ტანმოვარჯიშე სოფო ფარულავა (მწვრთნელი ლუბოვ სერგოვანცევა) გერმანული შმიდენის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მეორედ მონაწილეობდა. მრავალჭიდში მან მე-6 ადგილი დაიკავა, ბურთითა და რგოლებით ვარჯიშებში კი ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა.**

15-19 მარტს ფარულავა გაბრიელა ხვედელიძესთან ერთად კიევში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის – ირინა დერიუგინას თასის გათამაშებაში იასპარეზებს.

**გივი გაგუა**

### ფეხბურთი

# „შავ-ლურჯთა“ შავი სეზონი

**მილანის „ინტერმა“ და მარსელის „ოლიმპიკმა“ წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატები, პრაქტიკულად, ჩააგდეს, ამიტომ სარეაბილიტაციოდ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლა რჩებოდათ.**

მას შემდეგ, რაც ფრანგებმა პირველი საშინაო რაუნდი 1:0 მოიგეს, ამ წყვილში ფავორიტის გამოცნობა საძნელო შეიქნა. „სან სიროზე“ გამართულმა საპასუხო მერვედფინალურმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ იტალიური სუპერკლუბი გაცილებით ღრმა კრიზისშია ჩავარდნილი და მისი რეინკარნაცია მეტისმეტად გართულდება.

დრამატული მოვლენები აპენინებზე დასკვნით წუთებში განვითარდა და მას სათავე მილიტომ დაუდო, რომელმაც მეტოქის კართან შექმნილ არეულობაში ყველას დაასწრო და სავსებით რეალური გახადა თამაშის დამატებით დროში გადაყვანის პერსპექტივა – 1:0. კვანძი მოულოდნელად გაიხსნა მსაჯის წამატებულ წუთებზე, როცა მანდანდას მიერ მიწოდებული ბურთი ბრანდაომ მოხერხებულად დაამუშავა და სამუელის ძალისხმევის მიუხედავად, ჟულიუ სეზარი დააშამათა – 1:1.

საფინალო სასტვენის წინ სტუმართა მეკარემ პორტუგალიელ არბიტრს თავი გააძევებინა და პაცინის



პენალტიდან მხოლოდ სტატისტიკოსებისათვის საჭირო გოლის გატანის საშუალება მისცა – 2:1, თუმცა ამით საერთო სურათი არ შეცვლილა – „შავ-ლურჯებისთვის“ ევროსეზონი ნაადრევად დასრულდა.

**„ბაიერნი“ – „ბაზელი“ 7:0 (0:1).**

**გოლები:** გომესი (4), რობენი (2), მიულერი.

**გიორგი შოთაძე**

### ძალოსნობა

# ფიცარნაგზე – მომავალი თაობა



**ახალგაზრდა ძალოსანთა საქართველოს პირველობაში სხვადასხვა რეგიონის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. განსაკუთრებით ქუთაისელებმა გამოიჩინეს თავი – 120 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.** გამარჯვებულებს 8 ქულით ჩამორჩნენ აჭარლები, 105 ქულით მესამე ადგილი თბილისელ ძალოსნებს ერგოთ. პირად პაექრობებში განსაკუთრებით 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონ გიორგი ლომთაძისა და კონტინენტის პრიზიორ შოთა მიშველიძის (ორივე – ქუთაისი) დაპირისპირება გამოირჩა. იმის მიუხედავად, რომ ლომთაძემ სამი თვის წინათ მენისკის ოპერაცია გაიკეთა, ორჭიდში 280 კილოგრამის თავმოყრა შეძლო. მიშველიძემ მას 10 კილოთი აჯობა და ოქროც დაიმსახურა. არადა, 65-კილოიან ძალოსანს ახალ წონაში დებიუტი ჰქონდა. აქვე სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებულთა ვინაობასაც გაუწყებთ: გოდერძი ბერდელიძე (საჩხერე, 50 კგ), რამინ შამილიშვილი (აჭარა, 56), ირაკლი გაბრიჭიძე (საჩხერე, 62), ჯაბა ჩიბურდანიძე (აჭარა, 77), ზურიკო თავაძე (ქუთაისი, 85), უჩა ინაძე (თბილისი, 94), ვილიამინ ალექსიძე (აჭარა, 105), რაულ ისმაილოვი (თბილისი, +105).

**ლაშა დიდია**

### ჭადრაკი

# კვარცხლბეკს მიღმა



**საქართველოს 11 წარმომადგენელი მონაწილეობდა გაზიანთეფში დამთავრებულ მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატში.** სამწუხაროდ, როგორც წინა წლებში, ისე ამჯერადაც, ერთი გამონაკლისის გარდა (მხოლოდ 2000 წელს ბათუმში მაია ჩიბურდანიძემ მე-3 ადგილი დაიკავა) ჩვენებურთაგან კვარცხლბეკს ვერავინ გაეკარა. მათი მონაგარი ასეთია: მე-9 ადგილი, ბელა ხოტენაშვილი (7,5 ქულა), 13. ნინო ხურციძე (7), 14. ნანა ძაგნიძე (7), 15. სალომე მელია (7), 17 ლელა ჯავახიშვილი (7), 25. სოფიკო გურამიშვილი (6,5), 28. ნინო ბაციაშვილი (6,5), 35. მერი არაბიძე (6,5), 42. სოფიკო გვეტაძე (6), 43. ნაზი პაიკიძე (6), 44. მირანდა მიქაძე (6).

თერთმეტი შესაძლებლიდან 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს და ევროპის ჩემპიონატის ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო, შესაბამისად, ვალენტინა გუნინამ, ორგზის ევროპის ჩემპიონმა ტატიანა კოსინცევამ (ორივე – რუსეთი) და ანა მუზიჩუკმა (სლოვენია) გაინაწილეს.

**ლექსო ცინცაძე**

### ჩაუმქრალი ვარსკვლავი

# დაუვიწყარი კაპიტანი

## შოთა იამანიძე – 75



**თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულ კაპიტანს შოთა იამანიძეს 75 წელი შეუსრულდებოდა. ის თბილისის „დინამოს“ მესამე თაობის ფეხბურთელთა შორის გამორჩეული იყო არა ოდენ თავისი პროფესიონალიზმით, მაღალი ოსტატობით, სტაბილური თამაშით, არამედ წმინდა ადამიანური თვისებებით – რაინდობით, ტაქტით, ზნეობრივი სიწმინდით. მნიშვნელოვანწილად ამით იყო გამოწვეული, რომ ის ყველას უყვარდა, მათ შორის – მეტოქეებსაც. ბორის სიჭინავამ ერთხელ სიყვარულით აღნიშნა, რომ 60-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ჩამოყალიბებაში მწვრთნელებთან – ანდრო ჟორდანიასთან, მიხეილ იაკუშინთან და გავრილ კაჩალინთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის კაპიტან შოთა იამანიძესაც, ის იყო ჩვენი ღირსეული თავკაცი არა მარტო მოედანზე, არამედ – ცხოვრებაშიცო...**

...17 წლის ჭაბუკი (1954 წელს) „დინამოში“ აიყვანეს. იმ სეზონში მან მშობლიურ გუნდში ორი მატჩი ჩაატარა. მომდევნო, 1955 წელს უკვე 14 მატჩში იასპარეზა. 1956 წელს კი, დინამოელთა შემადგენლობაში პირველი გოლიც გაიტანა – დონეცკის „შახტიორთან“ გასვლით შეხვედრაში.

შოთა იამანიძემ 14 წელიწადი დაჰყო თბილისის „დინამოში“ და წარუშლელი კვალი დატოვა გუნდის ისტორიაში. ის იყო ფართო დიაპაზონის ფეხბურთელი. სხვადასხვა დროს თამაშობდა მარცხენა გარემარბად, ცენტრფორვარდად, მარცხენა შუამარბად, ნახევარმცველად. შესანიშნავ კომბინაციურ თვისებებთან და კარში უნაკლო დარტყმებთან შეხამებული მაღალი ტექნიკის მეოხებით გუნდისთვის ერთნაირად სასარგებლო და მეტოქისათვის ერთობ საშიში იყო ნებისმიერ მოედანზე.

თუ „დინამოში“ მისი გამოსვლების საერთო სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი საუკეთესო სეზონი 1958 წელი იყო – ჩემპიონატის 22 მატჩში 11 გოლი გაიტანა და თბილისის „დინამოს“ მთავარ ბომბარდირად მოგვევლინა, რაც 21 წლის ფეხბურთელის დიდი წარმატება იყო. თუმცა საუკეთესოდ მაინც 1964 წლის სეზონი მიმაჩნია, მაშინ მან 5 გოლი გაიტანა და გუნდის შეტევითი ოპერაციების მთავარი სულისჩამდგმელი გახდა. ამ გოლების დიდ ნაწილს ოქროს ფასი ჰქონდა და დიდი როლი შეასრულა პაექრობათა საბოლოო ბედის გადაწყვეტაში.

ის იყო კაპიტანი იმ თბილისის „დინამოსი“, რომელმაც ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თუნდაც ამიტომ, მის სახელს დავიწყება არ უწერია.

**მერაბ კალანდაძე**

### ინტერნეტიდან

## პირველი ლედის ხელმძღვანელობით

**როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებიან, აშშ პრეზიდენტის ბარაკ ობამას მეუღლე – მიშელი უხელმძღვანელებს ამერიკის დელეგაციას ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე.**

აქამდეც აშშ პირველი ქალბატონები სათავეში ედგნენ ამერიკულ დლეგაციებს წინა ოლიმპიადებზე – 2006 წელს ტურინის ოლიმპიადაზე ლორა ბუში, ხოლო 1994 წელს ლილეჰამერში – ჰილარი კლინტონი.

## სპორტსმენები – ბანკირებსა და პოლიტიკოსებზე წინ





**„ფორმულა –1“-ის შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი სათავეში უდგას გერმანელ მაღალანაზღაურებად ცნობილ ადამიანებს, მისი წლიური ხელფასი 21 მილიონი ევროა. სიაში შუმახერის შემდეგაა ავტოკონცერნის Volkswagen გამგეობის თავმჯდომარე მარტინ ვინტერკორნი– ის წელიწადში 17,4 მილიონ ევროს ღებულობს, მესამე კი „ფორმულა-1“-ის ორგზისა და მოქმედი ჩემპიონი სებასტიან ფეტელია – 15 მილიონი ევრო წელიწადში.**

სიაში შემდეგ მოდის კიდევ სამი სპორტსმენი: „დალასის“ კალათბურთელი დირკ ნოვიცკი – 14,6 მილიონი ევრო, „ბავარიის“ ფეხბურთელები ბასტიან შვაინშტაიგერი და ფილიპ ლამი, წელიწადში 10 მილიონ ევროს რომ გამოიმუშავებენ. ლამსა და მიხაილ ბალაკის შორისაა Dautsche Bank-ის თავკაცი იოზეფ ავერმანი – რომელიც წელიწადში 8,98 მილონ ევროს ღებულობს, ბალაკი კი – 6,5 მილიონ ევროს.

რაც შეეხება გერმანელ პოლიტიკოსებს, ისინი ძალზე ჩამორჩებიან ბიზნესმენებსაც და სპორტსმენებსაც. გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ხელფასია წელიწადში 194 ათასი ევრო, ხოლო პარლამენტის პრეზიდენტის ნორბერტ ლაბერტისა – 191 ათასი ევრო.

## სექსუალური ტანსაცმელი აიკრძალა

**ამ დღეებში თურქეთში მიმდინარე კონტინენტის პირველობაზე ქალთა ჭადრაკში ევროპის საჭადრაკო კავშირმა შემოიღო მკაცრი აკრძალვა, რათა მინიმუმამდე შეემცირებინა შემთხვევები, როდესაც ქალი მოჭადრაკეები თამაშზე მიდიოდნენ შეუფერებლად ჩაცმულები.**

მაგალითად, 2004 წელს რუსეთის ჩემპიონი მარია მანაკოვა თითქმის შიშველი გამოჩნდა ჟურნალის „სპიდ-ინფოს“ ყდაზე, ვითომდა ჭადრაკის პოპულარიზაციისთვის, ცოტა მოგვიანებით კი ინგლისის წარმომადგენელი იოვანკა ხუსკა ცდილობდა ამ ბრძნული თამაშისთვის შეექმნა დამაინტრიგებელი იმიჯი, უზარმაზარ დაფაზე ძალზე ღია კაბით რომ იჯდა.

ახლა ასეთი რამ იკრძალება ძალზე ღია დეკოლტესთან და მინი ქვედატანთან ერთად. მამაკაცებისთვის ამიერიდან დასაშვებია გრძელი ჯინსები და შარვლები, გრძელ ან მოკლესახელოებიანი პერანგები, სპორტული მაისურები, სპორტული პიჯაკები ან ქურთუკები, მოკასინები ან კედები (წინდები სავალდებულოა). ტანსაცმელი უნდა იყოს სუფთა და დაუთოებული, არ უნდა იყოს ძალზე გაცვეთილი, არ უნდა იყოს დაგლეჯილი, არ უნდა ჰქონდეს ცუდი სუნი.



ქალებისთვის დასაშვებია ბლუზები (არ უნდა იყოს ორ ღილზე მეტად გახსნილი), სპორტული მაისურები, შარვლები, ჯინსები, ქვედატანები, ან კაბები (რომელთა სიგრძე არ უნდა იყოს მუხლიდან 10 სანტიმეტრზე მაღლა), ქუსლებიანი ან უქუსლო ფეხსაცმელი ან კედები (წინდები აუცილებელია), ფლოსტები აკრძალულია, დაშვებულია სათვალეები (მზისაც), აკრძალულია შლაპები (თუ არ არის რელიგიური ატრიბუტი). ორივე სქესს ურჩევენ, რომ მათი გარეგნობა უნდა იყოს ჰარმონიული და არა მყვირალა.

## ტკივილიან-ღიმილიანი ეტიუდები

# კვირა დღის სიხარული

**კვირა დილაა, — ბებია-ბაბუასთან „შვილიშვილების მისვლის დღე“. გამოყრუებულ სახლში (ტელევიზორი რომ ახმიანებს შიგადაშიგ) ორნი არიან — ხანშიშესული ცოლ-ქმარი... ქალი, ჩვეულებრივ, სამზარეულოში ტრიალებს. დღეს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად უნდა ისადილონ და, დიასახლისი ცდილობს, „განსაკუთრებული“ კერძები მოამზადოს, უპირველესად, შვილიშვილებისთვის. ქმარი, დავალება რომ შეასრულა, ანუ მწვანილეული მოუტანა დიასახლისს და თან ერთი-ორი გაზეთიც წამოიყოლა, ახლა გულდაგულ ეცნობა თელავის აღმშენებლობის სააკაშვილისეულ გეგმას და მის ზოგ „გენიალურ“ გამონათქვამს მეუღლესაც უკითხავს ხმამაღლა.**

ერთი სადილის მზადებაში რომაა, მეორე კი გაზეთის კითხვაში, სამზარეულოს კარი იღება და... ტაააა!.. — სახეგაბადრული ორწლინახევრის შვილიშვილი „აშინებს“ ბებოსა და ბაბუს.

— როგორ შემოიპარე ბაბუ, ჭირიმე შენი!.. — კაცი სწრაფად დგება, შვილიშვილს იტატებს, ყვრიმალში კოცნის, შვილიშვილი ეხუტება, ცდილობს პაწია მკლავები კისერზე მოხვიოს...

— ნიკა, ახლა ჩემთან, ბებო!.. — და ნიკაც უკვე ბებოს ეფერება...

ამასობაში შვილ-რძალიც შემოდის უფროს შვილიშვილთან — ელენიკოსთან ერთად. ახლა ესენი ეფერებიან დამხვდურებს... ელენიკო სხაპასხუპით უყვება სკოლაში თავისი წარმატებების ამბებს ბებოსა და ბაბუს... მერე კი — ოთახიდან ოთახში მათი სირბილი, მათი შეძახილი, სათამაშოების გადმოლაგება-გადმოყრა, მთელი სახლის აანცება, ახალნასწავლი ლექსისა და სიმღერის ბებო-ბაბუსთვის გაცნობა... მერე სადილზე ელენიკოს განაზება — „ეს არ მინდა“, „ის არ მინდა“... ნიკას კი არ სჭირდება ხვეწნა — ვაჟკაცურად ილუკმება. უფროსები ღვინის ჭიქით ილოცებიან და, რა გასაკვირია, ძირითადად, პოლიტიკაზე საუბრობენ...

საღამოსკენ ნელ-ნელა ემზადებიან წასასვლელად, ხვალ ორშაბათია, ელენიკოს სამეცადინო აქვს. ბებო და ბაბუ, ცხადია, არ იმჩნევენ სევდას, რა გაძლებს მომავალ კვირამდე. ისევ ტელეფონის გამომგონებელი (მეტადრე, მობილურისძ დალოცა ღმერთმა...

აბა, დამშვიდობება, აბა, „ბებო გენაცვალოთ“ და ბაბუს — „ჭკვიანად, ჭკვიანად“...

მერე ორივენი ალაგებენ ბავშვებისგან მიყრილ-მოყრილ სათამაშოებს, ერთი სათვალეს ეძებს, მეორე — ჩუსტებს... და კაცს ღიმილით ახსენდება მეგობრის ნათქვამი: „ეს შვილიშვილები, რომ მოდიან, კი მიხარია, ბატონო, მარა, რომ მიდიან, უფრო მიხარია... სად რა ყრია, ველარ ვძებნით“!..

ასეთი სიხარულიანი „შრომა-წვალება“ არ მოგეშალოთ, ბებიებო და ბაბუებო!

# მკვდარი მკვდარს აეკიდა...

**ჩაგივლია, ჩვენო მიშა, ფეხით რუსთაველზე? აღმაშენებელზე?.. თბილისის (სხვა ქალაქებს არ ვამბობ) მოედნებისთვის და მთავარი ქუჩებისთვის თვალი მიგიდევნებია? თუ ჩაგივლია, შენს მახვილ მზერას ვინ გამოაპარებდა (ძალიანაც რომ ემარჯვა პოლიციას და პირად დაცვას) უამრავ მათხოვარს, რომლებიც, მარტო შენი კი არა, მთელი საქართველოს სამარცხვინოდ, მატულობს და მატულობს...** ამიტომაც დაუჯერებელია, შენი, გაფუჭებული პატეფონივით, გაუთავებელი ბაქი-ბუქი, ასე ვიზარდეთო, ეკონომიკური ბუმია საქართველოშიო... ეტყობა, ამ ბაქი-ბუქმა გადაიარა ზღვები, ოკეანეები და შორეულ აფრიკაშიც ჩააღწია, თორემ, საქართველოში სამათხოვროდ რა ჩამოიყვანდა ვიღაც ორმეტრიან ზანგს?! დგას იგი, სპორტულ პიჟამოში გამოწყობილი, მეტრო „რუსთაველის“ შესასვლელთან, გაუშვერია ხელი ამ ოყლაყს, „დამეხმარეთ“, „დამეხმარეთ“, დაუსწავლია ქართულად და მოწყალებას ელოდება ჩვენი გაღატაკებული მოქალაქეებისგან.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ამას ჰქვია, მკვდარი მკვდარს აეკიდაო...

# შემოქმედად დაბადებული და მოკიაფე

**ჩემთვის მეტად ძვირფასია ალბომი ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული პოეტისა და ფერმწერის ესმა ონიანისა, რომელიც მისმა დაიკომ მისახსოვრა ამ რამდენიმე წლის წინათ. ერთი სიამოვნებაა ამ ალბომის ფურცვლა და თვალიერება უზადო ფერწერისა, გრაფიკისა, პოეზიით დაყურსული მონასმენებისა... იგი იყო შესანიშნავი პოეტიც, და, ვინც ეს იცოდა, აღარ უკვირდა — ესმა ონიანი — ფერწერაში პოეტი და პოეზიაში ფერმწერი...**

და აი, კიდევ ერთხელ ვეზიარეთ მის ფერწერულ პოეზიას ახლახან საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგობართა ასოციაციის მიერ გამოცემულ ლექსების კრებულში, რომლის მთავარი რედაქტორია ლია ნადარეიშვილი, შემდგენელი ირინე ონიანი, მხატვარი გიორგი წერეთელი, დამფინანსებელი საქართველოს ნინოწმინდის ნავთობკომპანიის წარმომადგენლობა.

ჯიბით, უბით სატარებელი კოხტა კრებული გვაცნობს ესმა ონიანს — ძლიერი სულის პიროვნებას, საოცრად მართალს, მრავლის შემგრძნობსა და მრავლისმთქმელს. სიღრმისეულია მისი პოეზია, სახეებითა და ფერადოვნებით გაჯერებული, ჭეშმარიტი ქართული სიტყვით ამეტყველებული...

იგი ფერწერითა და პოეზიით სუნთქავდა. ეს იყო მისი დიდი სიყვარული, აღმაფრენა, მთელი მისი სიცოცხლის აზრი. ასე გვეცნობა იგი ლექსში **„ესმა“:**

**ახლა თქვენ ფიქრობთ —**
**რა არის ეს, რაც ესმას გვაცნობს,**
**ან მოწონებით ან დაწუნებით ღიზიანდებით —**
**რითაა ესმა?**
**ეს „მე“ ვარ თქვენ წინ,**
**ამოდრეკილი, ამოძალული ჩემს**
**სიტყვებში**
**ჩემი სულია დადასტურებულ,**
**ურყევ-თანმხლები.**
**ასე იქნება — თუკი ოდესმე**
**ვინმე ჩემს სიტყვებს მიეკარება,**
**გაღიმებულს, თვალმობჯენილს,**
**ურყევ თამხლებს**
**მას, შეუბოჭავს, ჩემს სულს იხილავს.**




ჭეშმარიტად, თქვენ ამ კრებულში იხილავთ, უნიჭიერეს ფერმწერსა და პოეტს ესმა ონიანს — ნაადრევი სიკვდილით სიკვდილისა დამთრგუნველს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## სანთელი

# მონატრებით დაღლილი გულით...



**მერი (მარიამ) მიხეილის ასულ ჭანტურიას ნათელ ხსოვნას**

**შენს ხელში მე არ მიგრძვნია**
**უმამობა და ობლობა,**
**მადლობა, რომ გამიწიე**
**სამაგალითო მშობლობა.**

ო, როგორ მიმძიმს შენზე წარსულში წერა, ჩემო უსაყვარლესო, ჩემო დაუვიწყარო და მოამაგე დედავ.

ძნელი ყოფილა უდედობა... როცა დედა კვდება, თურმე, მაშინ შვილის სული ობლდება. საშინელებაა ობოლი სულის არსებობა, დედა, მიუხედავად იმისა, რომ 15 მარტს 2 წელი სრულდება შენი გარდაცვალებისა, ჩვენი დაშორებისა, არ გეგონოს რაიმე შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში შენს მიმართ. არ გეგონოს, რომ მინელდა შენით გამოწვეული დარდი, სევდა, მწუხარება. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად მენატრები. მენატრები, ძალიან, ძალიან.

**დრო მკურნალი არ ყოფილა,**
**გული დამაქვს ცრემლით**
**სავსე.**
**შენს დანაკლისს, ჩემო დედა,**
**წუთისოფელს ვერვინ ავსებს.**

მადლობა უფალს, რომ შვილები მყავს, ჩემი და შენი სიცოცხლის გამგრძელებლები. ალბათ, შენი სულიც გრძნობს და ხედავს, პატარა ბავშვივით მეფერებიან, მანუგეშებენ, მკოცნიან, როცა მოწყენილს მხედავენ. მე არ მინდა, მათ ვაგრძნობინო ჩემი ესოდენ დიდი სევდა, მწუხარება. როცა ერთად ვართ, მოჩვენებით ვმხიარულობ, ვიცინი, მაგრამ... ამის უკან ხომ დიდი ტკივილია და ეს ტკივილი შენა ხარ, ჩემო დედიკო, ტკივილი მოუშუშებელი, ტკივილი გულისა, ტკივილი სულისა.

**ყველანაირი ტკივილი**
**ო, მართლაც არის ძნელია.**
**მაგრამ ტკივილი სულისა**
**ყველაზე საშინელია.**

არ მინდა შეგაწუხო და დავამძიმო შენი სული, დედა. ვიცი, რომ ასეთი ქცევით ვაწუხებ და ვამძიმებ შენს სულს და თუ ვიცი, რატომ ვიქცევი ასე? ალბათ უგუნური ვარ, დედა, ალბათ, გულს ვერ ვუბრძანებ, ან კიდევ უშენოდ, შენს გარეშე თურმე არარაობა ვყოფილვარ. ო, როგორ მინდა, ისევ ჩვენთან იყო.

**დედა ისეთი განძია**
**უნდა ეფერო, ახარო,**
**დედის გარეშე, უდედოდ,**
**ცარიელდება სამყარო.**

დედას ხომ ასაკი არა აქვს, დედიკო. შვილს დედა თურმე ყველა ასაკში და ყოველთვის სჭირდება. ჩემი შვილები შენი გაზრდილები: — ედუარდი და გიორგი ჩემზე ნაკლებად როდი განიცდიან უშენობას.

ედუარდი შენს სურათს მობილური ტელეფონით ატარებს. გიორგიმ მითხრა, როცა ბებო ძალიან მომენატრება, ლოცვას ვიწყებო. დედა, ხედავ, როგორ გვენატრები? სამივენი ცალცალკე ვიტანჯებით უშენოდ. არცაა გასაკვირი, ამ დღეში რომ ვართ. ჩვენ ხომ არასოდეს გვიცხოვრია და არასოდეს არსად არ ვყოფილვართ მარტო. ჰოდა, ამიტომ გვიჭირს უშენობა ასე ძალიან. შენ ბებია გერქვა, თორემ, ედუარდისა და გიორგისთვის დედასავით იყავი. დაბადებიდან ორივე ხომ შენი გაზრდილია, დედა.

**დედავ, სიცოცხლის საწყისო,**
**დედავ, სიცოცხლის წყაროვ,**
**ღმერთს ვთხოვ შენდობას,**
**შენს მერე,**
**ჩემი სული ვერ ხარობს.**

ჩემო საყვარელო დედიკო, გეხვეწები, ჩვენზე არ იფიქრო, ასე რომ გამძიმებ, მაპატიე, ვეცდები, არ შევაწუხო შენი სული ჩემო უკეთილშობილესო, უსპეტაკესო, სინდის-ნამუსით სავსე მოამაგე დედავ და ბებიავ. ღმერთს ვთხოვ, მოგაგოს მისაგებელი მისი კეთილი მისისა მის ჩემდა და ჩემი შვილების მომართ ძნილისა ღვაწლისა და მზრდელობისათვის, შეუნდოს ყველა ცოდვა შენს სულს და დაამკვიდროს ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანვილოვანსა და ადგილსა განსასუენებელსა, სადა-იგი წარხდომილ არს სალმობაი, ჭირი და სულთქუმაი, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

მოგაგოს წყალობითა მისითა ყოველივე კეთილი და სიხარულევანი სამარადისოისა სასუფეველსა შინა მისსა და მოგცეს საუკუნო ხსენება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

**ნანული (ნანა) გუნია**
შენს ნახვას მონატრებული შენი ერთადერთი შვილი.

**შვილი ნანული (ნანა) გუნია, შვილიშვილები ედუარდი, გიორგი, რძალი თამარა, ძმისწულები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ 2012 წლის 15 მარტს 14 საათზე დანიშნულია**

**მერი (მარიამ) მიხეილის ასულ ჭანტურიას**

**სამოქალაქო პანაშვიდი აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარის სასაფლაოზე.**

**პარტია „საქართველოს გზა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი, ჟურნალისტი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე ბატონი**

**ჯანრი კაშია**

**ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**ახლო მეგობრები ლეო კამკამიძე, მინდია უგრეხელიძე, გია ფირცხალავა, ანზორ თოთაძე, ზურაბ რევიშვილი, მერაბ ჭირაქაძე, ლევან გიორგაძე იუწყებიან**

**ლეო ბალანჩივაძის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**რეკლამა**
**„საქართველოს რესპუბლიკაში“**
**299-62-77;**
**599 32-85-76.**

## ხსოვნა

# დაუვიწყარი ლუდოვიკო ჭანტურია



ჩვენო ძვირფასო და საამაყო მამა!

2012 წლის 15 მარტს 95 წლის გახდებოდი. დაუვიწყარია შენი სათნო და მუდამ ღიმილიანი სახე. სიცოცხლის ბოლო წუთამდე მუხლჩაუხრელად ემსახურე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. მალე გამოვა შენზე წიგნი, რომელიც გაჯერებულია თბილი მოგონებებით. ეფერებიან შენს ხსოვნას და პედაგოგიურ ამაგს. წიგნში შევა შენი მემუარები მეორე მსოფლიო ომზე და ჯვარის I საშუალო სკოლის ისტორიის მოკლე ნარკვევები.

ძალიან დაგვაკლდა შვილებს მშობლების სითბო და სიყვარული. თქვენს ნალოლიავებ ოჯახს და ტრადიციებს ფერი არ შეცვლია. შენი საყვარელი სახე მუდამ გვემახსოვრება შენს შვილებს და შვილიშვილებს.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ვაჟკაცური და გაუტეხელი სული.

შენი შვილები:
**რევაზ, ლადო და ლუარა ჭანტურიები** ოჯახებით.

## დაიჯესტი

# ცხვირა მაიმუნები, რაფლეზია, დურიანი და სხვა

**მალაიზია ჭეშმარიტად მსოფლიოში ერთ-ერთი ეგზოტიკით გამორჩეული ქვეყანაა, რომლის უპირველესი ღირსშესანიშნაობა ფლორა და ფაუნაა.**

**ქვეყნის სიმბოლოა ცხვირა მაიმუნები, რომელთა პატარ-პატარა ქანდაკებები სუვენირების ყველა ფარდულში იყიდება, ჯუნგლის კიდევ ერთი საოცრებაა მსოფლიოში ყველაზე დიდი ყვავილი — რაფლეზია.**

მალაიზიის თითოეულ კუნძულზე განსაკუთრებული გასართობია. მაგალითად, რანკავიზე აზიაში უდიდესი თევზისა და ნიანგის ფერმებია, ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ კუნძულ ბორნეოზე კი, რომელიც დიდად პოპულარულია ჰოლივუდის კინოვარსკვლავთა შორის, ძალიან მოსწონთ „თევზის მასაჟი“. „მოთელვის“ მსურველები მარჩხ მდინარეზე მიჰყავთ, სადაც ერთგვარი ჯიშის თევზები ბინადრობენ. თუკი კაცი სწორად დაჯდება, თევზები მას ფეხზე კბენას უწყებენ, რითაც არა მარტო მასაჟს, არამედ ჩინებულ პედიკიურსაც უკეთებენ. სხვათა შორის, რაც უფრო პატარაა თევზი, მით უფრო მწარედ იკბინება.



კუნძულ პენანგზე კი უზარმაზარი... გველების პარკია გაშენებული. ადგილობრივ ტაძარში სხვადასხვა საკმევლის ბოლი ერთმანეთს ერევა და ქვეწარმავლებიც „დაბოლილები“ დაცოცავენ. მაგრამ, უსიამოვნებათა თავიდან ასარიდებლად, მნახველებს ფოტოსურათებს მაინც შხამიან კბილებდაძრობილ გველებთან უღებენ.

მალაიზიის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია სამზარეულოს ნაირგვარობა, თუმცა ერთი საერთო თვისება ყველას აქვს: ინდური, არაბული, ჩინური, ტაიური და თავად მალაიზიურიც გასაოცარი სიცხარით გამოირჩევა. აქაურ რესტორნებში სიცხარის გრადაცია ყველა კერძს აქვს მინიშნებული — თუ საჭმლის დასახელების გვერდით სამი წიწაკაა გამოსახული, ის განსაკუთრებულად ცხარეა, თუ ორი — საშუალო სიცხარისა, ხოლო „ერთპილპილიანი“ საჭმელი „ჩვეულებრივად“ ითვლება, მაგრამ იმას, ვინც აზიურ სამზარეულოს ნაკლებად იცნობს, ასეთი კერძის დაგემოვნებისასაც კი დიდი სიფრთხილე მართებს...

მალაიზიის კიდევ ერთი საოცრებაა აზიის ყველაზე სახელგანთქმული ხილი დურიანი, რომელიც... გემოს ცვალებადობითაა ცნობილი. ზოგი მას არაჩვეულებრივად ტკბილ მარწყვს ამსგავსებს, ზოგს ხახვში შემწვარი ხორცის გემოს აგონებს, ზოგიც კი ამტკიცებს, რომ მას ნიორშერეული შაქრის გემო აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში კი გაფცქვნის შემდეგ რამდენიმე წუთში ლპობის მსგავს მხუთავ სუნს უშვებს. ამიტომაა, რომ მალაიზიაში ყველა საზოგადოებრივ ადგილას ფირნიშებზე წითელ ხაზგადასმული დურიანია გამოსახული — მისი ხალხმრავალ ადგილებში შეტანა სასტიკად აკრძალულია.

**ლალი ხუნდაძე**

## რაც ცხოველთაგან განგვასხვავებს...



**ბანგკოკის ზოოპარკში ორი თვის შიმპანზემ... ორი თვის ვეფხვის ბოკვერზე „შეფობა“ აიღო! პატარა ვალო დედის მიტოვებულ ვილის ბოთლით რძეს აჭმევს, ღამე მასთან სძინავს და, საერთოდაც, გვერდიდან არ იცილებს.**

ზოოფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ყველა პატარისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების, მზრუნველობის გამოვლენაც კი ყველა ნორმალური ცხოველისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომაა, რომ მოზრდილი კატა ბავშვს არასდროს დაკორტნის, თუ პატარა შეაწუხებს, იგი გაქცევას ამჯობინებს. ძუ ძაღლს კი გამოსაკვებად მელიის, ან, სულაც, მგლის ლეკვის მიღება შეუძლია.

როგორც ჩანს, პატარების მიმართ სიბრალულის გრძნობა ყველა ცოცხალ არსებაში ინსტინქტის დონეზეა ჩადებული. კვლა, ძალადობა, შეურაცხყოფა და ა.შ. მხოლოდ მაღალგანვითარებულ ცხოველთა — ადამიანთა საეჭვო თვისებაა.

## კიდევ ერთი, ამჯერად ბოშური



**ჩეხეთის ბოშათა კავშირის სამეცნიერო სექცია ბრნოს ეთნოგრაფიულ მუზეუმთან ერთად მსოფლიოში პირველი ბოშათა მუზეუმის შექმნის პროექტის რეალიზაციაზე მუშაობს. გავრცელებული ინფორმაციით, მუზეუმს ანთროპოლოგიური, ისტორიული და მუსიკალური განყოფილებები ექნება.**

## თავდაცვის საუკეთესო ხერხი



**თეორიულად, კატას შეუძლია ნებისმიერ მასზე უფრო მცირე ზომის ცხოველს შეუტიოს, მაგრამ უკან დაიხიოს აგრესიული თავდაცვის წინაშე. მაგალითად, ამ სურათზე, ვირთაგვის რეაქციით დამფრთხალი კატა ნახევარდაცვით პოზას იღებს.** ამის თვითმხილველის, ზოოფსიქოლოგის ჯონ გლოუბის თქმით, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კატა ვირთაგვას გაექცა.

## კართაგენის აყვავების მომსწრე



**ლეპტის-მაგნა ოდესღაც რომის იმპერიის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქალაქი იყო. სადღეისოდ მისი ნანგრევები ლიბიის ტერიტორიაზეა, ტრიპოლიდან აღმოსავლეთით 130 კილომეტრის მოშორებით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. მნახველებს აოცებს ამ ქალაქის ნანგრევების სილამაზე, რომელიც რომის იმპერიის დიდების, სიმდიდრისა და უდიდესი სინატიფის კიდევ ერთი საუცხოო მაგალითია.** ისტორიიდან ცნობილია, რომ ლეპტის-მაგნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-11 საუკუნეში ჯერ კიდევ ფინიკიელებმა დააარსეს, თუმცა მისი აღზევება აღმოსავლეთში იმდროინდელი უდიდესი სახელმწიფოს, კართაგენის აყვავების ხანასთანაა დაკავშირებული. ჩვენი წელთაღრიცხვის 146 წელს, დაპყრობის შემდეგ, ლეპტის-მაგნა რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

## შიშის ნივთიერება



**თავდაპირველად რამდენიმე ვირთაგვას სიბნელის შიში შთაუნერგეს — სიბნელეში მათ სულ რაღაც ხიფათი „მოსდიოდათ“: ხან დენი დაარტყამდათ, ხან იატაკი გაუცხელდებოდათ...** მოკლედ, ვირთაგვები ისე დააშინეს, რომ განათებული გალიიდან ბნელში არაფრით გადადიოდნენ, რის შემდგომ ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა მათი თავის ტვინიდან ნივთიერება გამოყო, რომელსაც ერთობ საგულისხმო თვისება აღმოაჩნდა: თუკი მას ჯერ კიდევ „გაუწვრთნელი“ ვირთაგვების თავის ტვინში შეიყვანდნენ, მათაც სიბნელის შიში უჩნდებოდათ.

ეს უჩვეულო ნივთიერება, რომელსაც სასწავლო ინფორმაციის შენახვის უნარი აქვს, თოთხმეტი ამინომჟავის შემცველ პოლიპეპტიდს წარმოადგენს და ახლა მეცნიერებმა მისი სინთეზირება შეძლეს.

## ჯანმრთელობის გადასახადი



**ინგლისელ სტომატოლოგთა ჯგუფმა პარლამენტში... ტკბილეულზე გადასახადის გაზრდის კანონპროექტი შეიტანა.** ექიმთა აზრით, ამ გზით მიღებული თანხები უნდა მიიმართოს კბილის დაავადებათა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც... კანფეტებისა და ნამცხვრების უზომოდ მოყვარულებს უჩნდებათ ხოლმე.

## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

## ანეკდოტები

**ორი ებრაელი ერთმანეთს შეხვდა.**

**— შენ იცი, ვინ იყო ისაკ ლევიტანი?**

**— არა.**

**— ის მაინც თუ იცი, ვინ იყო აბრამ ლინკოლნი?**

**— არც ეს ვიცი.**

**— მე კი ვიცი, რადგან ლექციებზე და მუზეუმებში დავდივარ.**

**— ყოჩაღ. ახლა შენ მითხარი, იცი, ვინ არის მოიშა კაცი?**

**— არა. ვინ არის?**

**— ვინ და, ის კაცია, ვინც შენს ცოლთან დადის მაშინ, როდესაც შენ ლექციებზე თუ მუზეუმებში ხარ.**

* * *

**თუ არ დაქორწინდები, ინანებ, მაგრამ ოდესღაც — შორეულ მომავალში. ხოლო თუ დაქორწინდები, მაშინაც ინანებ, თანაც საკმაოდ მალე. ამიტომაც უმჯობესია, უცებ ინანო, ვიდრე ქორწილის მოლოდინში მუდმივ შიშში იცხოვრო.**



* * *

**ბილ გეიტსს მაიკროსოფტი მიუტოვებია და მანქანების გამოშვება დაუწყია. ახლა მანქანების პანელზე, როდესაც ფეხს მუხრუჭს დააჭერთ, დაიწერება: „ნამდვილად გსურთ დამუხრუჭება“?**

* * *

**მიდის ებრაელი მდინარის გასწვრივ. ხედავს, რომ ციდან ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ეშვება. გახარებული ებრაელი მინდვრის ყვავილებს დაგლეჯს და თაიგულით ხელში გარბის გონისმიერი ძმების შესახვედრად. იღება თეფშის კარი და იქიდან ორი მწვანე ჰუმანოიდი გამოდის.**

**— შალომ, ძმებო, — ყვირის გახარებული ებრაელი.**

**— ფუი, ამათი, ვასკა, ისინი აქაც ჩვენზე ადრე ჩამოსულან! — ეუბნება ერთი უცხოპლანეტელი მეორეს.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს−323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24